28 იანვარი – 3 თებერვალი
ფასი 1 ლარი 70 თეთრი

ახალი განათლება

№2 (716) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge



რომ არა ეს ერთი წელიწადი, დღეს სულ სხვა ადამიანი ვიქნებოდი

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“
სტუმარია გურამ ჯავახაძე,
თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის სტუდენტი

გვერდი 6

პროფესიული განვითარება
მენტორი – გაზრდილი პასუხისმგებლობები და გამოცხადებული უვადო ნდობა
გვერდი 2

აქტუალური თემა
ბულინგის პრევენციის საპილოტე პროგრამა
გვერდი 3

ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2016
ქართული ენა და ლიტერატურა
გვერდი 4

ბავშვთა უფლებები
ახალი რეგულაციები მიუსაფარი ბავშვების დასაცავად
გვერდი 5

სერიის ფასი – 17.70ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით. წიგნებში მოცემულია: სახალისო აქტივობები, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი საბავშვო ტექსტები, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელსა თუ მშობლებს, განუვითარონ ბავშვებს წერის, კითხვისა და მეტყველების უნარ-ჩვევები.

სერიის ფასი – 30.40ლ

სიახლე

წიგნის თარო

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ Facebook გვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

გაიხსენეთ თეორიული მასალა ამ წიგნის მიხედვით და მოაწყვეთ საატესტატო გამოცდების სიმულაცია სახლში!

თითოეული კრებულის ფასი – 9.90ლ

ПРОФЕСИУЛИ ГАНВИТАРЕБА

მენტორი – გაზრდილი პასუხისმგებლობები და გამოცხადებული უვადო ნდობა

ლალი ჯელაძე

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, საფეხურებზე გადანაწილებული მოქმედი მასწავლებლებიდან არც ერთ პედაგოგს არ მიენიჭა მენტორის სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერჯერობით, მენტორი მასწავლებელი სისტემაში არ გვყავს. მენტორის სტატუსის მოპოვება კი მისი სტატუსისთვის განსაზღვრული აქტივობების წარმატებით განხორციელებითა და შესაბამისი კრედიტქულების მოპოვებით ყველა მოქმედ მასწავლებელს შეუძლია. რაც შეეხება აქტივობებს, ფაქტობრივად, დამატებითი ახალი აქტივობები ამ საფეხურზე არ შემოდის, იმდენად, რამდენადაც სკოლის მასშტაბით განსახორციელებელი ყველა აქტივობა უკვე წამყვანი მასწავლებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებში გამოჩნდა; თუმცა აქტივობების ნაწილი, რომელიც წამყვანი მასწავლებლებისთვის დამატებით აქტივობებს წარმოადგენს, მენტორისთვის უკვე სავალდებულო ხდება. უფრო კონკრეტულად რა იგულისხმება ამაში – მაგალითად, თუკი წამყვანი მასწავლებლისთვის სტუდენტის პრაქტიკის ხელმძღვანელობა დამატებითი აქტივობაა, მენტორისთვის ეს ვალდებულება ხდება; თუკი წამყვანისათვის შეფასების ჯგუფის წევრობა და ფასილიტატორობა, ასევე, დამატებითი აქტივობაა, მენტორისთვის ეს სავალდებულო აქტივობად მიიჩნევა.

რატომ არ განაწილდნენ მასწავლებლები მენტორებად? მასწავლებლების კომპლექსური შეფასება (თეორიასა და პრაქტიკაში) სისტემაში არ ხორციელდებოდა. მასწავლებლის კვალიფიკაციასთან ერთად მხოლოდ სერტიფიცირების შედეგები იყო სანდოდ მიჩნეული, რასაც მასწავლებლების საკვალიფიკაციო საფეხურებზე განაწილებისას შეიძლება დავყრდნობოდით. სერტიფიცირებულ მასწავლებლებს, შესაბამისად, უფროსი მასწავლებლების სტატუსი მიენიჭათ, მიუხედავად მათი კვალიფიკაციისა, ხოლო მეცნიერებათა დოქტორებს, რომლებიც ამავდროულად სერტიფიცირებულები არიან, წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭათ. სხვა აქტივობები, რომლებიც მასწავლებლებმა სქემის ამოქმედებამდე განახორციელეს, ერთგვაროვანი კრიტერიუმებით არ ყოფილა შეფასებული. ამავდროულად, სქემის მიზანია სკოლებში გააქტიურდეს საგანმანათლებლო მრავალფეროვანი მუშაობა, ამდენად, მენტორის სტატუსს მასწავლებელმა უნდა მიაღწიოს სქემაში გაწერილი მოთხოვნების დაკმაყოფილებით. უპირველესად მენტორი შეიძლება გახდეს წამყვანი მასწავლებელი, სამომავლოდ კი, ნებისმიერი მასწავლებელი, მიუხედავად სტატუსისა, თანმიმდევრული აქტივობებით შეძლებს მოიპოვოს სისტემაში უმაღლესი სტატუსი. თანმიმდევრობა კი შემდეგია:



მენტორის ვადები და ვალდებულებები: 5 წლის განმავლობაში 30 კრედიტქულა ექნებათ დასაგროვებელი და ეს მხოლოდ და მხოლოდ სტატუსის შენარჩუნებას ემსახურება, რადგან უფრო მაღალი საკვალიფიკაციო საფეხური აღარ არსებობს. აქედან 15 კრედიტქულა სავალდებულო აქტივობებით მიიღწევა, ხოლო 15 დამატებითი აქტივობების წილია. თუ შევხედავთ დინამიკას, დამატებითი აქტივობების წილი ყოველ შემდეგ საფეხურზე იზრდება, ანუ რაც უფრო მაღალ კატეგორიაში გადადის მასწავლებელი, მით მეტი კრედიტქულა აქვს დასაგროვებელი დამატებითი აქტივობების ხარჯზე. სხვა სტატუსებთან შედარებით, მენტორის ყველაზე დიდი განსხვავება ის არის, რომ მას სტატუსის შესანარჩუნებლად მხოლოდ ერთხელ უწევს 30 კრედიტის დაგროვება, ანუ თუ მასწავლებელი ერთხელ შეძლებს მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად განსაზღვრული 30 კრედიტის დაგროვებას, ამის შემდეგ მას მენტორის სტატუსი მუდმივად გარანტირებული აქვს. მაგრამ თუკი 5 წლის განმავლობაში სტატუსისთვის შესანარჩუნებელი ქულების დაგროვებას ვერ შეძლებს, მაშინ ჩამოინაცვლებს წამყვანი მასწავლებლის საფეხურზე.

მენტორის სტატუსისთვის განსახორციელებელი სავალდებულო აქტივობები:

სამოდელო გაკვეთილი კვლავ სავალდებულო აქტივობად რჩება. მენტორს, 5 წლის განმავლობაში, 5 სამოდელო გაკვეთილის ჩატარება სჭირდება. მას შეუძლია, საშუალოდ, 1 წელიწადში ერთი სამოდელო გაკვეთილი ჩაატაროს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია განსხვავებულად გაანაწილოს სამოდელო გაკვეთილების ჩატარების გრაფიკი – ეს დამოკიდებულია იმ სასწავლო გეგმაზე, რომელსაც ახორციელებს.

მენტორის სტატუსის მოპოვების უფლება სკოლის დონეზე წყდება, ისევე როგორც სტატუსის შენარჩუნება. ამასვე გვიდასტურებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი **მანანა რატიანი** და ამბობს, რომ *„ყველაფერი სკოლის დონეზე წყდება, გარდა საგნის გამოცდისა და საგაკვეთილო დაკვირვებისა. ეს ყველაფერი კი იმისთვის კეთდება, რომ, რეალურად, სკოლები გავაძლიეროთ, რათა ყველა სკოლაში იმის კომპეტენცია არსებობდეს, რომ ადგილზევე ხდებოდეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და, იმავდროულად, მასწავლებლების პროფესიული განვითარება სწორედ სკოლაში, სკოლის ბაზაზე მიმდინარეობდეს, რომ უფრო მაღალი სტატუსის მასწავლებელი მასზე დაბალი სტატუსის მასწავლებლის განვითარებაზე ზრუნავდეს და ა.შ. ეს ყველაზე სწორი მექანიზმია, რადგან არ შეიძლება ყოველთვის ველოდოთ, რომ ვიღაცამ გარედან შეგვაფასოს, გარედან შემოგვთავაზოს პროფესიული განვითარების აქტივობები; ანუ სქემის ერთ-ერთი მიზანი დეცენტრალიზაცია და სკოლის გაძლიერებაა. ეტაპობრივად, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სკოლებში მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და შეფასების ჯგუფის კომპეტენციები გავზარდოთ, სკოლა გავაძლიეროთ.“*

სამოდელო გაკვეთილს შეაფასებს შეფასების ჯგუფი სამოდელო გაკვეთილის რუბრიკით, ამავდროულად მას ესწრებიან მასწავლებლები, რომლებისთვისაც გაკვეთილი თემატურად საინტერესოა. გაკვეთილს მასწავლებელი წინასწარ ათანხმებს შეფასების ჯგუფთან წლის დასაწყისში, როდესაც ის ადგენს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას, მაგალითად – კურიკულუმით განსაზღვრულია რომელიმე თემის გავლა, რომლის სამოდელო გაკვეთილად ჩატარებასაც გადაწყვეტს მასწავლებელი; გაკვეთილის ჩატარების შესახებ სხვა დაინტერესებული მასწავლებლებიც მიიღებენ ინფორმაციას. სამოდელო გაკვეთილის ჩატარების გარემო/სივრცეც განსხვავებულია, რადგან დამსწრე ადამიანების რაოდენობა საკმაოდ დიდია.

სავალდებულო აქტივობებიდან, სამოდელო გაკვეთილის ჩატარების გარდა, მენტორმა უნდა **იკვლიოს სკოლის საჭიროებები**, ისევე როგორც იკვლევდა წამყვანი მასწავლებელი, რადგან მისი კომპეტენციები არ უნდა იყოს შემოსაზღვრული იმ კლასებით, რომლებსაც ასწავლის. თუმცა, წამყვანი მასწავლებლებისგან განსხვავებით, იმის შემდეგ, რაც გამოიკვლევს სკოლის საჭიროებებს, მენტორი დაგეგმავს პროფესიული განვითარების აქტივობას – ანუ კონკრეტული პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ის დაეხმარება სკოლას, რომ პრობლემა სკოლის დონეზე დაიძლიოს. სკოლის საჭიროებების კვლევის მიზანია, მასწავლებელმა, კვლევის ჩატარების შემდგომ, პრობლემის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი რელევანტური, პროფესიული განვითარების ღონისძიებები განახორციელოს.

სტუდენტის და დამწყები მასწავლებლის კონსულტირება – მენტორი მასწავლებლის კიდევ ერთი ვალდებულებაა. მენტორის სავალდებულო აქტივობაა, სკოლაში პრაქტიკაზე მოსულ სტუდენტს ან დამწყებ მასწავლებელს გაუწიოს კონსულტირება, დაეხმაროს ახალბედა მასწავლებელს გაიაროს პროფესიული ადაპტაცია, ხოლო სტუდენტი პრაქტიკაში მოამზადოს მომავალი პროფესიისთვის. ამისთვის ისინი არა მხოლოდ დაესწრებიან გაკვეთილებს, არამედ მენტორთან ერთად დაგეგმავენ და ჩაატარებენ, ჩაერთვებიან საკლასო და კლასგარეშე აქტივობებში. ეს კი შეამცირებს სკოლიდან ახალგაზრდა კადრების გადინებას, რადგან მათი მოლოდინები და კომპეტენციები სკოლაში საქმიანობის შესატყვისი გახდება.

სასწავლო რესურსის შექმნა – ეს აქტივობა, ისე როგორც წამყვანი მასწავლებლისთვის, მენტორისთვისაც სავალდებულოდ რჩება. რა ტიპის რესურსებზეა საუბარი და როგორ მოხდება მისი შეფასება, ამის შესახებ დეტალურ ინფორმაციას მასწავლებლები გზამკვლევის მეორე ნაწილიდან მიიღებენ, რაც ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იქნება ცენტრის ვებგვერდზე – www.tpdc.ge.

მენტორ მასწავლებელს, მას შემდეგ, რაც ამ სტატუსს მოიპოვებს, 5 წლის განმავლობაში, სტატუსის შესანარჩუნებლად, ამ სავალდებულო აქტივობების განხორციელება მოუწევს. ამის შემდეგ მისი სტატუსი უვადო ხდება, ამით სისტემა მას ნდობას უცხადებს.

თანმიმდევრულად, ყოველ შემდგომ საფეხურზე, იზრდება პასუხისმგებლობები და აქტივობების სირთულე, შესაბამისად, იზრდება კრედიტქულების რაოდენობაც. **მენტორის კრედიტქულები, აქტივობების მიხედვით, ასეთია**: ხუთ სამოდელო გაკვეთილში – 5 კრედიტქულა, საჭიროებების კვლევაში – 2 კრედიტქულა და ამას ემატება ერთი კრედიტქულა, რომ განახორციელოს შესაბამისი პროფესიული განვითარების აქტივობა (ჯამში 3 კრედიტქულა გამოდის); სტუდენტის და მასწავლებლის კონსულტირება – 2 კრედიტქულა; შეფასების ჯგუფში ფასილიტატორობა – 2 კრედიტქულა, სასწავლო რესურსის შექმნა 1-დან 4 კრედიტქულამდე, გამომდინარე შექმნილი რესურსის ტიპიდან.

მენტორს, რომელიც შესანარჩუნებელ კრედიტქულებს მოიპოვებს, შეფასების ჯგუფი მეტად აღარ აფასებს. ოპონენტები ამბობენ, რომ ასეთ შემთხვევაში მენტორი მასწავლებელი შესაძლებელია გაზარმაცდეს და აღარაფერი გააკეთოს. ამ აზრს არ ეთანხმებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში და ამბობენ, რომ ოპონირება, ამ შემთხვევაში, უადგილოა, რადგან, მენტორს ვალდებულებად რჩება შეფასების ჯგუფის წევრობა, კონსულტირება, სტაჟიორის ხელმძღვანელობა და სხვა ტიპის აქტივობები, რაც არაფრის კეთების საშუალებას მათ არ უტოვებს და მეტიც, თუკი დირექტორი ჩათვლის, რომ მენტორი მასწავლებელი კარგად და წარმატებულად არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას, მას უფლება აქვს შესაბამისი სანქციები დააკისროს.

დაბოლოს, როგორია მენტორის ხელფასი – წელს სისტემაში არ არის მენტორი მასწავლებელი, მაგრამ რომ ყოფილიყო, სტატუსის დანამატი საბაზისო ანაზღაურებაზე 300 ლარი იქნებოდა. 2016 წლის აპრილში, როგორც ვიცით, მენტორი კვლავაც არ გვეყოლება, მაგრამ მისი სტატუსის დანამატი მაინც იზრდება და 400 ლარით განისაზღვრა, ხოლო 2017 წლის იანვარში კი (ამ დროს, სავარაუდოდ, უკვე გვეყოლება) სტატუსის დანამატი 700 ლარით განისაზღვრება, რაც საკმაოდ კარგი სტიმული უნდა იყოს მასწავლებლებისთვის.

ИНФОРМАЦИА

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ლია გიგაურმა, ქალაქ ფოთის მაჟორიტარ დეპუტატთან, ეკა ბესელიასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ფოთის №12 საჯარო სკოლაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. ფოთის №12 საჯარო სკოლას არსებობის 137-წლიანი ისტორია აქვს. ნაგებობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი. 137 წლის მანძილზე სკოლას პირველად უტარდება მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ისტორიულ შენობაში სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება გარკვეულ წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული, თუმცა, ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ძალისხმევით, ფოთის მე-12 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია დაიწყო. ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის გაზაფხულზე დასრულდება.

ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს, სკოლის სრულ განახლებას და თანამედროვე სტანდარტებით მოწყობას გულისხმობს: შენობას ჩაუტარდა გამაგრებითი სამუშაოები, გაკეთდა გადახურვა, სარინელი, გამოიცვლება იატაკი, კარ-ფანჯარა, ელექტროობა, დამონტაჟდება გათბობის თანამედროვე სისტემა, სველი წერტილები, სკოლას ექნება თანამედროვე სპორტული და სააქტო დარბაზები.

ლია გიგაური: *„სკოლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის გრძელდება მასშტაბური პროექტები. პრიორიტეტი ენიჭება ისეთ სკოლებს, სადაც ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნადაა მოძველებული და მოსწავლეებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ფოთის მე-12 სკოლა სწორედ ასეთი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის სიმძლავრე 600 მოსწავლეზეა გათვლილი, აქ უკვე 200 მოსწავლეზე ნაკლები დარჩა, რადგან ყველა გრძნობდა, რომ სკოლის შენობაში ყოფნა გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული და შეიძლებოდა ბავშვებისთვის სახიფათო გამხდარიყო. ამიტომ დაიწყო ამ პროექტის განხორციელება. უკვე დახარჯულია 400 000 ლარამდე და სამუშაოები დასასრულისკენ მიდის.*

ძალიან სასიამოვნოა იმის ნახვა, როგორი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები. ჩვენ ვხედავთ, რომ სკოლა სრულად იქნება რეაბილიტირებული, რაც მთავარია, შეიქმნება ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოტივაციას აამაღლებს.“

აქტუალური თემა

ბულინგის პრევენციის საპილოტე პროგრამა

ლალი ჯელაძე

არც თუ დიდი ხანია, რაც ჩვენს ლექსიკაში დამკვიდრდა სიტყვა „ბულინგი“, მისი გამოხატვის ფორმები კი ჩვენს რეალობაში ისეთივე ძველია, როგორც დანარჩენ სამყაროში, რადგან ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ სხვების მიმართ განხორციელებული დამცირებისა და ძალადობის ფორმებს დიდი ხნის ისტორია აქვს.

ბულინგი სკოლებში საკმაოდ გავრცელებული ფორმაა და განვითარებული ქვეყნების უმეტესობისთვის აქტუალური პრობლემაც. თუმცა, მსოფლიოს ქვეყნებისგან ჩვენ იმ დამოკიდებულებით გამოვირჩევით, რომ თითქმის ყველა კონკრეტული შემთხვევის დროს, ანუ მოსწავლეებს შორის კონფლიქტის მოგვარებას ამ პრინციპით ვარჩევთ: „ბავშვები არიან და მორიგდებიან“, და კიდევ, ბულინგის გამხელის შემთხვევაში, მას, ვინც გაამხელს, „ჩამშვებად“, „ცუდ ტიპად“ მოვიხსენიებთ. არადა, ასეთი დამოკიდებულება ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს კიდევ უფრო დაუცველს ხდის და ეს ყველაფერი ხშირად ფატალური შედეგით სრულდება ან, უკეთეს შემთხვევაში, უარყოფით კვალს ტოვებს მოსწავლის ემოციურ მდგომარეობაზე. ეს მეცნიერულადაც დასაბუთებულია. რა მნიშვნელობა აქვს, ბავშვი უფროსის მიერ განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი იქნება თუ თანატოლის?! ყველა მშობლისთვის საოცნებო, წარმატებული, ხალისიანი, ჯანმრთელი ბავშვების ნაცვლად, ძალადობის შედეგად, ყალიბდებიან განდგომილი, გულჩათხრობილი და ჯანმრთელობაშელახული პიროვნებები, რომლებსაც ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავებაც უჭირთ და წარმატებასაც ძნელად აღწევენ. მასწავლებლების, აღმზრდელების, ფსიქოლოგების, პოლიციელებისა თუ სოციალური მუშაკების როლი ამ პროცესებში შეუფასებელია, მხოლოდ სწორი მეთოდებით აღზრდა და ჯანსაღი გარემო მისცემს მათ საშუალებას, სრულად გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი.

„ის, რასაც ყველა ხვდება, საკუთარი გამოცდილებიდანაც იცის, რომ არსებობს, მაგრამ სახელმწიფოს მისი აღიარება ყოველთვის უჭირს“ – ასე განმარტავს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ წარმომადგენელი **გიორგი ბურჯანაძე** ბულინგის არსებობას სკოლებში. სახელმწიფო ამ პრობლემას არ აღიარებს, არადა, ბუნებრივია, ის თავისთავად არ მოგვარდება. ამიტომაც ფონდმა, როგორც ბატონი გიორგი ამბობს, საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე, გადაწყვიტა დაეფინანსებინა „არაძალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტის“ ისეთი ინიციატივა, რომელიც ბულინგის კვლევასთან, მის შესწავლასა და შესაძლო პრობლემების დეტექციასთანაა დაკავშირებული. *„ჩვენი მიზანია შესაძლო პრობლემის კვლევის მეთოდების იდენტიფიცირება“* – ამბობს იგი.

„არაძალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტი“ ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ დახმარებით, სკოლებში ბულინგის პრევენციის პროექტს იწყებს.

2015 წელს, საჯარო სკოლებში, ბულინგის მდგომარეობის კვლევამ („ჰომოფობიური ბულინგი საჯარო სკოლებში“ – ანა სუბელიანი, აჩო ხაჩიძე) გამოავლინა, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი განიცდის ჩაგვრას სხვადასხვა საფუძვლით. მიზეზთა შორის კი უმეტესად გავრცელებული სტერეოტიპები და განსხვავებულობის მიუღებლობა გამოიკვეთა. მოზარდები ხშირად ხდებიან ბულინგის მსხვერპლნი რელიგიური, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, განსხვავებული იმიჯისა და შეხედულებების გამო. კვლევამ დაადგინა, რომ სასკოლო წლების გარკვეულ მონაკვეთში, უმეტესად კი VII-IX კლასებში, მოსწავლეების დიდი ნაწილი ბულინგის მონაწილეა. მოზარდები გვევლინებიან როგორც ბულინგის გამტარებლის, ისე მსხვერპლის ან შემყურეს როლში.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულ კვლევაზე საუბრობს იუნისეფის წარმომადგენელი **ჯაბა ნაჭყებია**: *„კვლევა კონკრეტულად ბულინგს არ ეხება, თუმცა ყველაზე საგანგაშო და დამაფიქრებელი იუნისეფის მიერ ჩატარებულ კვლევაში ის არის, რომ მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტი ცნობს ბავშვის ძალადობრივი აღზრდის მეთოდებს, რაც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება მსუბუქი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობით. ეს აბსოლუტურად, საგანგაშოა, რადგან ბავშვის აღზრდის შემთხვევაში დაუშვებელია ძალადობის მეთოდები.“*

„ეს არ არის მხოლოდ ქართული ფენომენი და არც მხოლოდ ქართულ სკოლებში ხდება, მაგრამ მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს ჰქონდეს ჩამოყალიბებული ხედვა და პოლიტიკა ამ პრობლემასთან საბრძოლველად, – აცხადებს „არაძალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტის“ წარმომადგენელი, **ანა სუბელიანი**, – *სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ხშირად გვესმის ბავშვთა სუიციდის შემთხვევების შესახებ. რთულია პირდაპირ დავუკავშიროთ, რომ კონკრეტულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა სასკოლო ბულინგს, მაგრამ კვლევები ამტკიცებს, რომ ხშირად ბავშვებში სუიციდის გამომწვევი ფაქტორი სწორედ ძალადობაა როგორც სკოლაში, ისე ოჯახში.“*

ბულინგის დაძლევაზე მიმართული სასკოლო პროგრამა საპილოტეა და თბილისის ორ კერძო სკოლაში – „მწვანე სკოლა“ და „ქორალი“ – განხორციელდება. პროექტის მიზანია კონკრეტულ სკოლებში ბულინგის პრევენცია და ასევე ეფექტური მექანიზმის შემუშავება, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც ექნებათ როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლებს. შემუშავებული მეთოდოლოგია მიმართული იქნება თანატოლებს შორის ჩაგვრის სხვადასხვა ფორმის შემცირებასა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისკენ.

პროექტის მენეჯერი ანა სუბელიანი ამბობს, რომ პროგრამა შეიძლება, პირობითად სამ ეტაპად დაიყოს. პირველ ეტაპზე, სამუშაო ჯგუფი შეისწავლის სკოლის შიდა კულტურას და ურთიერთობებს მოსწავლეებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის. გარდა ამისა, პროგრამის ეს ეტაპი მოიცავს იმ დოკუმენტების (მაგალითად, მასწავლებლისა და მოსწავლის ქცევის შინაგანაწესის) შესწავლას, რომლითაც კონკრეტულ სკოლაში რეგულირდება ურთიერთობები. ასევე, შეისწავლიან იმ ჩანაწერებს (თუკი ასეთები არსებობს), სადაც აღრიცხულია მოსწავლეთა რთული ურთიერთობის, მათ შორის, ბულინგის შემთხვევები, მათი მოგვარების გზები. მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუსჯგუფები ჩატარდება.

ყოველივეს გათვალისწინებით, ბულინგის დაძლევის მექანიზმი – სატრენინგო მასალა და მეთოდოლოგია – შემუშავდება. მისი თქმით, პროგრამის განხორციელებისას უკვე მრავალ ქვეყანაში გამოცდილ მეთოდებს გამოიყენებენ, რომლებიც ადგილობრივ საჭიროებებზე იქნება მორგებული.

პროგრამის ბოლო ეტაპზე კი სკოლის თემის წარმომადგენლებს – სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლებს, მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს – ჩაუტარდებათ ტრენინგები.

„პროგრამით მუშაობა VII-IX კლასების მოსწავლეებთანაა გათვალისწინებული, სადაც ყველაზე აქტუალურია ბულინგის პრობლემა, ასევე, I კლასის მოსწავლეებთან, რომლებიც ახლა იწყებენ სასკოლო ცხოვრებას და სწავლობენ გარკვეულ სოციალურ ნორმებს. მათთან, ბუნებრივია, სიტყვა „ბულინგს არც კი ვახსენებთ, მაგრამ ვეცდებით თამაშ-თამაშით მივახვედროთ, როგორ უნდა მიაღწიონ მიზნებს ისე, რომ სხვას ზიანი არ მიაყენონ,“ – ამბობს ანა სუბელიანი.

პროექტის ფარგლებში, დიდი ყურადღება მიექცევა იმ ადამიანებს, რომლებიც მოსწავლეებს არაფორმალურ გარემოში აკვირდებიან. მაგალითად, უსაფრთხოების ან სკოლის კაფეტერიის თანამშრომლებს, რომელთა თვალწინაც ყველაზე ხშირად შეიძლება ხდებოდეს ბულინგის შემთხვევები. ასე რომ, პროგრამის ფარგლებში, მათ შეასწავლიან, ერთი მხრივ, ბულინგის იდენტიფიცირებას, თუ როგორ გაარჩიონ უბრალო ბავშვური ხუმრობა სერიოზული პრობლემური შემთხვევებისგან, მეორე მხრივ, საჭირო ინფორმაციას მიაწოდებენ იმის თაობაზე, ვის ან როგორ მიმართონ ბულინგის იდენტიფიცირების შემთხვევაში.

რატომ შეირჩა საპილოტედ კერძო სკოლები? ამ კითხვას ანა სუბელიანი პასუხობს, რომ, სამწუხაროდ, არ მიეცათ საშუალება საჯარო სკოლებიც ჩაერთოთ საპილოტე რეჟიმში და განეხორციელებინათ ბულინგის პრევენციისაკენ მიმართული პროგრამა.

„ჩვენი ორგანიზაცია 2014 წლიდან მუშაობს აღნიშნულ პრობლემაზე და, მიუხედავად განათლების სამინისტროსთან შვიდი თვის განმავლობაში მიმდინარე აქტიური მოლაპარაკებებისა, სამინისტროს მხრიდან პრობლემის მოსაგვარებლად ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. ორგანიზაციას არ მიეცა საჯარო სკოლებში პროგრამის პილოტირების შესაძლებლობა.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის თანახმად, სულაც არ არის სამინისტროს ნებართვა აუცილებელი, რომ სკოლამ გადაწყვიტოს ამ ტიპის პროგრამის განხორციელება. თუმცა, რეალობა სხვაგვარია – სკოლები დამოკიდებული არიან განათლების სამინისტროს პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე. სკოლებს, კვლევისთვის, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ფოკუსჯგუფების ჩასატარებლად, კომუნიკაციაში დახმარება ვთხოვეთ, მაგრამ უშედეგოდ. ასეთი დიდი პროექტის დაწყებას მხოლოდ სკოლებთან კომუნიკაციით ვერ შევძლებდით, სწორედ ამიტომ გვჭირდებოდა სამინისტროს თანხმობა, რასაც შვიდი თვის განმავლობაში ვერ მივაღწიეთ“ – ამბობს ანა სუბელიანი.

პროგრამის პრეზენტაციას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების დეპარტამენტის წარმომადგენელი **სალომე შარაშენიძე** ესწრებოდა, რომელმაც განმარტა, რომ სამინისტროს კარგად აქვს გაცნობიერებული აღნიშნული პრობლემის არსი. ამ კუთხით, სხვადასხვა ტიპის პროგრამებსაც ახორციელებს, მაგალითად, მშობლების განათლებისა და ჩართულობის პროგრამას. მან, სამინისტროს სახელით, პროგრამის განხორციელებისთვის მზაობა გამოთქვა.

„ჩვენი პროგრამა პრინციპულად განსხვავდება ნებისმიერი იმ ინიციატივისგან, რომელიც დღემდე განხორციელებულა ან ხორციელდება საჯარო სკოლებში. პირადად მეც და პროგრამაში ჩართულ ექსპერტებსაც არაერთხელ ჩაგვიტარებია ბულინგის დაძლევაზე მიმართული ტრენინგები თუ კამპანიები, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მონაწილეობით. თუმცა, ფუნდამენტური განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ დღემდე განხორციელებული პროექტები ერთჯერადი აქტივობების ხასიათს ატარებდა და ამიტომაც, მისი მდგრადობის უზრუნველყოფა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. განსაკუთრებით როდესაც ჩვენ შეხება გვაქვს მასწავლებლებთან, რომლებიც ათწლეულებია მოღვაწეობენ და ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები და ქცევის მოდელი აქვთ, მათ უმრავლესობასთან ცვლილების მიღწევა თითქმის წარმოუდგენელია ერთჯერადი შეხვედრებით. ჩვენი პროგრამის მთავარი პოზიტიური მხარე ის არის, რომ ის ჰოლისტურ მიდგომას ეყრდნობა, ფენომენს კომპლექსურად შეისწავლის და მის აღმოფხვრასაც ასე ხედავს. სწორედ ამიტომ, ერთი წლის განმავლობაში, ინტენსიურად ვიმუშავებთ სკოლასთან და სკოლის თემის თითოეულ წარმომადგენელთან. გარდა ინფორმაციის გადაცემისა, გვექნება შესაძლებლობა, მათ პრაქტიკაში გამოვაცდევინოთ კომუნიკაციის ახალი, ბევრად უფრო ჯანსაღი და პოზიტიური მეთოდები“ – აცხადებს პროექტის მენეჯერი ანა სუბელიანი.

პროექტის უმთავრესი მიზანი კი, როგორც მისი მესვეურები აცხადებენ, ბულინგის დასაძლევად კონკრეტული მექანიზმის, მეთოდოლოგიის შექმნა და მისი პილოტირებაა. კვლევის შედეგებზე დაფუძნებული მეთოდოლოგია კი, ხელმისაწვდომი გახდება როგორც კერძო სკოლებისთვის, ისე განათლების სამინისტროსთვის, რაც, მათი განმარტებით, მზა რესურსი იქნება პროგრამის საჯარო სკოლებში დასანერგად.

ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2016

ქართული ენა და ლიტერატურა

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აბიტურიენტებს, Facebook გვერდზე, სთავაზობს საინფორმაციო ვიდეორგოლებს.

ამ რგოლებში სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ გამოცდის როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ საკითხებზე. ჯგუფების წარმომადგენლები კონკრეტულ რჩევებსაც მისცემენ აპლიკანტებს.

გთავაზობთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელის კახა ჯამბურიას რჩევებს აბიტურიენტებისთვის.



2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები ნაწილობრივ ელექტრონულ ფორმატში ჩატარდება. ეს რას ნიშნავს? თუ აქამდე აბიტურიენტები დავალებას კითხულობდნენ ნაბეჭდი ბუკლეტიდან, ახლა დავალებას კომპიუტერის ეკრანზე დაინახავენ. დაწერენ ისევ ისე, როგორც წერდნენ ხოლმე, ანუ პასუხების ფურცელი არ შეცვლილა, არ შეცვლილა არც ტესტის დიზაინი – პირველი დავალება ისევ უნდა დაიწეროს იმ გვერდზე, სადაც წერია „დავალება №1“, ანუ ტექსტის რედაქტირება. ამისთვის აბიტურიენტებს ექნებათ ე.წ. შავი სამუშაოსთვის განკუთვნილი ფურცლებიც, სადაც შეუძლიათ ჯერ შავად დაწერონ და შემდეგ გადაათეთრონ. ასევე, მეორე დავალების ადგილას უნდა დაიწეროს, ჩვეულებრივ როგორც იწერებოდა ხოლმე პასუხების ფურცელში, არგუმენტირებული ესე. წაკითხულის გააზრებისთვის გამოყოფილ უჯრებში კი, ისევ ძველი წესით – ჯვრებით უნდა აღინიშნოს სწორი პასუხები. შემდეგ მოცემულია ადგილი მხატვრული ანალიზისთვის, სადაც აბიტურიენტებს ჯერ ასევე შავად შეუძლიათ იმუშაონ და შემდეგ გადაათეთრონ ფურცელზე მხატვრული ანალიზისთვის განკუთვნილ ადგილას.

რაც შეეხება ელექტრონულ ბუკლეტს, თვითონ ტესტის დავალებებს, თუ ადრე აბიტურიენტები გადაფურცლავდნენ ხოლმე ტესტის ბუკლეტს და კითხულობდნენ, ახლა იმავე ტიპის დავალებას დაინახავენ ეკრანზე და მხოლოდ ორი კლავიში იქნება საჭირო მათთვის: ერთი კლავიშის დაჭერით გადაფურცლავენ გვერდს მარჯვნივ, მეორე კლავიშის დაჭერით დააბრუნებენ. ეს კლავიშები, რა თქმა უნდა, ისრებია მხოლოდ – მარჯვნივ და მარცხნივ. ძალიან ადვილი აღსაქმელი, ნათელი გვერდია, ძალიან ადვილად სამართავი, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ორი კლავიშის გამოყენება დასჭირდება აბიტურიენტს. დანარჩენი ისევ ხელით იწერება. არავინ იფიქროს, რომ კლავიატურაზე მოუწევს ტექსტის აკრეფა. არაფრის აკრეფა არ უწევთ, დავალება ისევ პასუხების ფურცელზე სრულდება, როგორც სრულდებოდა.

სადაც დიდი ტექსტია მოცემული, მაგალითად, წაკითხულის გააზრება, რომელიც ერთ გვერდზე არ ეტევა და შემდეგზე გადადის, მუშაობის პროცესში აბიტურიენტს შეუძლია გამოიყენოს ღილაკი (დააჭიროს მას კურსორი) „დაბრუნება ტექსტზე“ ან „დაბრუნება კითხვაზე“. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ძალიან მარტივია, ადვილი მოსახმარია და ძალიან გაუადვილებს აბიტურიენტს მუშაობას, თუკი მანამდე ერთხელ ან ორჯერ წაივარჯიშებს, რისი საშუალებაც, ცხადია, ყველა აბიტურიენტს, ყველა დაინტერესებულ პირს ექნება. არა მარტო აბიტურიენტებს, ყველა მსურველს შეუძლია ნახოს დავალებების ნიმუშები ჩვენს ვებგვერდზე და სავარჯიშოდ გამოიყენოს. ერთადერთი, ვურჩევ აბიტურიენტებს, პირდაპირ პასუხების ფურცელში ნუ იჩქარებენ თემების ან არგუმენტირებული ესეს დაწერას. გამოიყენონ ე.წ. შავი ფურცლები, ჯერ შავად იმუშაონ, შემდეგ გადაწერონ. გადაწერის მერე, ვურჩევ, წაიკითხონ ნელა, დაკვირვებით, რადგან დრო იმდენია გამოყოფილი გამოცდისთვის, რომ თავისუფლად მოასწრებს აბიტურიენტი არა მარტო ტექსტის დაწერას, არამედ მის გასწორებასაც. ძალიან ხშირად კარგავენ აბიტურიენტები ქულებს მექანიკური, გადაწერის დროს დაშვებული შეცდომების გამო. ამიტომ, ვურჩევ ყველას, რომ ნელა, წყნარად, მშვიდად და აუღელვებლად იმუშაონ.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტში, არჩევითი გამოცდის ტესტშიც, არაფერი შეცვლილა. ყველა იმ ტიპის დავალებაა, როგორიც იყო შარშან, შარშანწინ. კიდევ ერთი რჩევა მინდა მივცე აბიტურიენტებს – როდესაც წაკითხულის გააზრებას ასრულებენ, ყოველთვის შეუძლიათ, შეკითხვის წაკითხვის შემდეგ, დაუბრუნდნენ ტექსტს და კიდევ ერთხელ დახედონ, რადგან ძალიან ხშირად აბიტურიენტები ჩქარობენ ხოლმე და, როდესაც შეკითხვის ოთხი სავარაუდო პასუხიდან პირველი მოეჩვენებათ სწორად, იმ წუთშივე ირჩევენ. არ იჩქაროთ, ოთხივე პასუხი წაიკითხეთ, მერე ტექსტის იმ მონაკვეთს კიდევ ერთხელ ჩახედეთ, რადგან ძალიან ხშირად ოთხივე პასუხი, რა თქმა უნდა, იმ ტექსტიდან გამომდინარე არის ხოლმე, მაგრამ სწორი მაინც მხოლოდ ერთია.

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„ზღაპრები და ლეგენდები ბებიას სკივრიდან“

გახდი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი!

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საფუძველი ჩაუყარა უფროსკლასელთა კონკურსს სახელწოდებით **„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“.** წელს კონკურსი მეოთხედ იღებს სტარტს. თავად მიმართულების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ყოველწლიურად იცვლება კონკურსის თემატიკა. პირველად, 2012 წელს, კონკურსი ზოგად, გაცნობით ხასიათს ატარებდა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში კონკურსმა კონკრეტული ამოცანები დაისახა თემებით: **„ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“** და **„გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“.**

წელს საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელებს ვთავაზობთ კონკურსს თემაზე **„ზღაპრები და ლეგენდები ბებიას სკივრიდან“.**

კონკურსის მიზანია:

❖ გამოავლინოს უხუცესების მეხსიერებაში შემონახული სხვადასხვა კუთხის უძველესი ზღაპრები და ლეგენდები, ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშები;

❖ გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;

❖ ჩართოს საქართველოს ახალი თაობა არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებასა და ფიქსაციაში;

❖ გაუღვივოს მათ ინტერესი წინაპრების კულტურისა და შემოქმედებისადმი.

კონკურსი ჩატარდება ორ ტურად:

პირველი ტური

გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც, სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა), საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

1. ვორდის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;

2. მოსწავლეების მიერ მოთხრობილი ამბის მიხედვით ცალკე შესრულებულ (დახატული, გამოძერწილი, კონსტრუირებული და სხვ.) ილუსტრაციებს და მათი მაღალი ხარისხით გადაღებულ ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის). ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად jpg ფორმატში;

3. ელემენტზე მუშაობის ამსახველი ფოტომასალა, გადმოგზავნილი ასევე jpg ფორმატით;

4. ვორდის ფაილში დაწერილი ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს მონაწილის მიერ შესრულებული ილუსტრაციების ფოტოებით, რათა ნამუშევრების გადარჩევისას კომისიის წევრებს გაუადვილდეთ მათი შეფასება.

<u>სასურველია</u> ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.

<u>სასურველია</u> მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

❖ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com,

❖ ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში,

❖ ან მოგვაწოდოს ფოსტით – „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, მისამართზე: თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5.

საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან კონკურსის გამარჯვებულის გამოსავლენად.

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

გამარჯვებული ავტორი (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდება საგანგებო სიგელით და მიიღებს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდებას. ნამუშევრები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“. გაშუქდება მასმედიით.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება;*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელმისამართი);*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელელეფონი, ელმისამართი);*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);
7. ნიმუშის აღწერა.

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

❖ რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში (ზღაპარი, იგავი, თქმულება, ლეგენდა და ა.შ.) – *მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*

❖ ნიმუშის სახელწოდება *(აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*

❖ ნიმუშის ჩაწერის აღწერილობა – *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში და ვისგან აქვს მოსმენილი თავად მის მთხრობელს;*

❖ ტრადიციულად, რა დროს, რა შემთხვევაში ჰყვებოდნენ მას *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღწერეთ გარემოება, როდესაც ჰყვებოდნენ ამ კონკრეტულ ნიმუშს);*

❖ *რას უკავშირდებოდა აღნიშნული ამბის თხრობა/გამოყენება/შესრულება;*

❖ *რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს მის თხრობას/გამოყენებას/შესრულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);*

❖ *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის თხრობის დროს;*

❖ *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის;*

❖ ***აღწერეთ თავად ნიმუში* – სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ იყოს 500 სიტყვაზე ნაკლები.**

სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვ.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმოგზავნის ვადაა 2016 წლის 1 მარტი.

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში
(32)298-39-24, 13სთ-დან 15სთ-მდე
ან 599 08 40 03; 599 08 40 14;
aramaterialuri@yahoo.com
მაკა თაქთაქიშვილი, სალომე ხმიადაშვილი,
კოტე ნაცვლიშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება

ბავშვთა უფლებები

ახალი რეგულაციები მიუსაფარი ბავშვების დასაცავად

ლალი ჯელაძე

მიუსაფარ ბავშვებზე ძალადობისა და მათი უგულებელყოფის აღკვეთის მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იდგმება – საქართველოს მთავრობამ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებების დასაცავად საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი დაამტკიცა.

ცვლილებათა პაკეტი გულისხმობს შესწორებების შეტანას კანონმდებლობაში და მოიცავს რიგ მნიშვნელოვან ცვლილებას, კერძოდ:

❖ შემოაქვს ტერმინის „ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვის“ განმარტება უკეთესი სამართლებრივი გარანტიების შესაქმნელად და უზრუნველყოფს სპეციფიკურ მომსახურებებს (პირადობის დამადასტურებელი (ID) ბარათი, განათლების და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სხვ.);

❖ ამატებს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს და სხვა სამინისტროებს იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელიც რეფერირების სახელმწიფო მექანიზმის თანახმად, პასუხისმგებელია რეაგირება მოახდინოს ბავშვთა მიმართ ძალადობაზე. აღნიშნული გულისხმობს, რომ ბავშვთან მომუშავე ყველა პროფესიონალი ვალდებული იქნება, რომ გამოავლინოს და სათანადო უწყებას შეატყობინოს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევა;

❖ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ან ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის უზრუნველყოფს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ზოგ შემთხვევაში კი დროებით მოწმობას. ეს ხელს შეუწყობს ამ ბავშვებისთვის განათლების, ჯანდაცვის და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობას, მოკლე დროში, მშობლის ვინაობის ან მოქალაქეობის დადგენის ან მშობლისგან თანხმობის მიღების გარეშე;

❖ გაზრდის სოციალური მუშაკების უფლებამოსილებას, რომ მათ გამოიყენონ ბავშვის ოჯახისგან განცალკევების უფლება, როგორც უკიდურესი ზომა. სოციალურ მუშაკებს აქვთ სპეციფიკური ცოდნა და უნარები (იმ პოლიციელებისგან განსხვავებით, რომელთაც ამჟამად აქვთ უფლებამოსილება განაცალკევონ ბავშვი ოჯახისაგან), რომ გამოავლინონ ძალადობის სხვადასხვა ფორმა. ამდენად, მათი ჩარევა მნიშვნელოვანია ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან ბავშვის დასაცავად;

❖ შეაჩეროს მშობლის უფლებები სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე, როდესაც ხდება ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა, ოჯახური ძალადობის გამო. ცვლილებათა პაკეტი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა, რომელშიც სამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციები და იუნისეფი შედიან.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, არ არის განსაზღვრული, ვინ მიეკუთვნება ქუჩაში მცხოვრები ბავშვების კატეგორიას, სწორედ ამიტომ არ არიან ისინი ზუსტად აღრიცხულნი, თავისთავად, არ არის სათანადოდ დაცული ასეთი ბავშვების უფლებები. მათ არ გააჩნიათ საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია – დაბადებისა და პირადობის მოწმობები, პასპორტი, რადგან მათი მშობლები და მეურვეები ვერ ახერხებენ ან არ თვლიან საჭიროდ პატარებისთვის დოკუმენტაციის მოწესრიგებას. ამის გამო ისინი ვერ იღებენ განათლებას, არ არიან ჩართული სოციალური თუ სამედიცინო სახის სახელმწიფო პროგრამებში. ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, არ არსებობს მისი მოძალადისაგან მყისიერად განცალკევების მექანიზმი.

ამ საკითხების კანონით მოწესრიგების მიზნით, 2014 წლის 14 ნოემბერს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ხოლო ცვლილებათა პაკეტი მოწონებული და დამტკიცებული იქნა საბჭოს 2015 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე. ცვლილებებზე აქტიურად მუშაობდა საბჭოს წევრი ყველა უწყება, განსაკუთრებით კი, საკითხით პირდაპირ დაინტერესებული უწყებები და სტრუქტურები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“); საქართველოს მთავარი პროკურატურა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“. სამუშაო პროცესში ჩართული იყვნენ: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი; გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), საქართველოში აშშ-ს საელჩოს, საქართველოს პარლამენტის, ა(ა)იპ „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“, ა(ა)იპ „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“, ა(ა)იპ „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის – თანადგომის“, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, ა(ა)იპ „ბავშვი და გარემოს“, ა(ა)იპ „კარიტასი საქართველოს“, ა(ა)იპ „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ (World Vision Georgia), ა(ა)იპ „გადავარჩინოთ ბავშვების“ (Save the Children), ა(ა)იპ საქართველოს კოალიციის - „ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის“, ა(ა)იპ „საქართველოს ბავშვების“ წარმომადგენლები – აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, კანონპროექტს შემოაქვს ცნება „მიუსაფარი ბავშვი“, რაც შესაბამის სტრუქტურებს საშუალებას მისცემს, დაიცვას არა მხოლოდ ობოლი, უსახლკარო, არამედ უგულებელყოფილი მსხვერპლი ბავშვიც. ახლებურად რეგულირდება მიუსაფარი ბავშვებისათვის დოკუმენტაციის გაცემის პროცესი და უფრო ქმედითი ხდება არასრულწლოვნების ნებისმიერი ძალადობისაგან დაცვის მექანიზმები.

ასეთი ბავშვების დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტოს ეძლევა უფლება, მიმართოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიუსაფარი ბავშვებისათვის დოკუმენტაციის გაცემის თხოვნით. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ამის შესაძლებლობა მხოლოდ ბავშვის მშობელსა და მეურვეს აქვთ. ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივის თანახმად, მიუსაფარ ბავშვებზე დოკუმენტები უფასოდ გაიცემა; დოკუმენტაციის მოწესრიგების შემდეგ კი მათ საშუალება ექნებათ, მიიღონ განათლება, შემწეობა და ჩაერთონ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებში. ცვლილებები უფრო ქმედითს გახდის არასრულწლოვნების ნებისმიერი ძალადობისაგან დაცვის მექანიზმებს. კანონპროექტი სოციალური მუშაკის როლის გაზრდას ითვალისწინებს, რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობისას, ექნება უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის მოძალადისაგან დაუყოვნებლივ განცალკევების თაობაზე.

კანონპროექტი მთავრობის სხდომას იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა წარუდგინა.

თეა წულუკიანი: *„სახელმწიფოსა და საზოგადოების ტკივილია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები. ყველა ბავშვს აქვს განვითარების უფლება, ამიტომ ჩვენ პარტნიორ ორგანიზაციებთან, იუნისეფთან და ჩვენს კოლეგა სამინისტროებთან ერთად, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოში შევიმუშავეთ ცვლილებების პაკეტი, რომელიც დღეს მთავრობამ ერთხმად დაამტკიცა და რომელიც ქუჩაში მყოფი, მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უკეთეს დაცვას ემსახურება. პირველი სიახლე, რაც იქნება და მე მჯერა, რომ პარლამენტი ამ რეფორმას მხარს დაუჭერს და საქართველოს კანონში შემოვა ახალი ცნება – „მიუსაფარი ბავშვი“. ამ სტატუსზე მიბმული იქნება მთელი რიგი საჯარო სერვისები. მაგალითად, დღეს, როცა ამგვარი ბავშვები იუსტიციის სამინისტროს თვალთახედვის არეში მოხვდებიან, ვერ იღებენ საბუთებს, ვერ ხდება მათი იდენტიფიკაცია – საიდან მოდიან, სად არიან, რომელი ქვეყნიდან შემოდიან და არიან თუ არა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, აქ დაბადებულები. მათზე პასუხისმგებელი პირები ჩვენ არ მოგვმართავენ და რეალურად ეს ბავშვები იდენტიფიკაციის პროცედურების მიღმა რჩებიან. ამ რეფორმის შედეგად, მზრუნველობის ორგანოებს, ანუ სახელმწიფოს მივცემთ ჩვენდამი მომართვის უფლებას და ეს საკითხი აღარ იქნება დამოკიდებული მშობელზე ან სხვა კანონიერ წარმომადგენელზე. დღეს მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი თუ არ მოგვმართავს, ბავშვებზე საბუთებს ვერ გავცემთ. მომავალში მზუნველობის ორგანოსაც ექნება მომართვის უფლება.*

ასევე ვაფართოებთ სოციალური მუშაკის უფლებამოსილებას, რომელსაც ამ რეფორმით მიეცემა საშუალება, უგულებელყოფის ან ძალადობის შემთხვევაში, უკიდურესი ზომის სახით, დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის აგრესიისგან განცალკევების შესახებ, რომლის გასაჩივრებაც, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იქნება სასამართლოს ორი ინსტანციის წინაშე. მაგრამ ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა მყისიერად და განცალკევება მაშინვე მოხდება.

გვინდა, რომ სოციალური სამსახური განვითარდეს საქართველოში და უკეთ მოემსახუროს ქუჩაში მყოფი ბავშვების უფლებების დაცვას, რომელთა მომავალი, რა თქმა უნდა, ქუჩასთან არ უნდა იყოს დაკავშირებული.

დაბოლოს, სოციალური მუშაკის ამგვარი გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა გამოინვევს, პირველ ჯერზე – ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, მეორე ჯერზე – სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, როგორც ეს, მაგალითად, პოლიციის მიერ არსებული, დამცავი თუ შემაკავებელი ორდერისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაშია. ამ რეფორმის შედეგად გვეყოლებიან უკეთესად დაცული ბავშვები, რომლებსაც ქუჩას გამოვაცლით ხელიდან; გვეყოლებიან ძლიერი სოციალური მუშაკები, რომლებსაც ამგვარი ბავშვების დაცვის უკეთესი ბერკეტები ექნებათ. იუსტიციის სამინისტრო გეგმავს, რომ მიუსაფარ ბავშვებზე გასაცემი საიდენტიფიკაციო დოკუმენტები უფასო იყოს.“

იუსტიციის მინისტრის მოადგილე **ალექსანდრე ბარამიძე** აცხადებს, რომ სამი პრინციპული ცვლილება განხორციელდება. პირველი ცვლილება ბავშვების იდენტიფიცირებას ეხება – *„მათ უმრავლესობას არ გააჩნია საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, ისინი არსად არ არიან რეგისტრირებულები, შესაბამისად, არ გააჩნიათ არავითარი საბუთი. აქედან გამომდინარე, მათთვის ხელმიუწვდომელია მთელი რიგი სახელმწიფო პროგრამა – ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, განათლება და სხვ.*

კანონის მეორე, ყველაზე მნიშვნელოვანი ნოვაციაა ის, რომ სოციალურ მუშაკს აქვს უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება და, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვი განაცალკევოს სხვა პირისგან, ანუ ბავშვი იქნება განრიდებული მშობლისგან ან კანონიერი წარმომადგენლისგან, რომელიც მასზე კონტროლს ახორციელებს. თუმცა, ეს უკიდურესი ზომაა. კანონშიც პირდაპირ წერია, რომ ეს უკიდურესი ზომაა და მხოლოდ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით იქნება გამოყენებული.

მესამე მნიშვნელოვანი გადწყვეტილება – როცა ბავშვს ექნება სათანადო საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, ის მოექცევა სოციალური დაცვის ქვეშ და ყველა სარგებელი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, მასზეც გავრცელდება.“

ვინ იგულისხმება „სხვა პირში“, რომელიც კანონის ჩანაწერში გვხვდება? მინისტრის მოადგილე განმარტავს, რომ *„სხვა პირში“, თავისთავად, მშობელი იგულისხმება. ის, ასევე შეიძლება იყოს სხვა კანონიერი წარმომადგენელი, მაგალითად, ბავშვს როცა არ ჰყავს მშობელი, მას ჰყავს მზრუნველი პირი. შესაძლოა ეს სხვა პირი აღმოჩნდეს მართლაც გარეშე პირი, რომელიც ბავშვს ქუჩაში დგომას და მათხოვრობას აიძულებს. აი, ასეთი პირისგან იქნება ბავშვი განცალკევებული, განრიდებული.“*

მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემები ბევრი და მრავალმხრივია – დოკუმენტაცია, განათლება, ჯანდაცვა, სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის არარსებობა და ა.შ. რეალურად მოაგვარებს თუ არა აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ამ პრობლემებს? – ამ კითხვას ალაექსანდრე ბარამიძე პასუხობს, რომ რასაკვირველია მოაგვარებს, *„ გარკვეული მომსახურებები მიუსაფარ ბავშვებს დღემდე ისედაც მიეწოდებოდათ ხოლმე, მაგრამ გარკვეული სახის მომსახურებები, მაგ., ჯანდაცვის ან საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდეს, თუ ბავშვი რეგისტრირებულია და პირადი ნომერი აქვს. პირადობის დამადასტურებული დოკუმენტაციის უქონლობის შემთხვევაში ასეთი პროგრამების განხორციელება უბრალოდ შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, შემოდის გარკვეული ვალდებულება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფმა ყველა ბავშვმა, საბოლოო ჯამში, მიიღოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ეს პროგრამა თანდათანობით ყველას მიმართ განხორციელდეს. აქედან გამომდინარე, ამ პროგრამებით გათვალისწინებულ სარგებელს ყველა მიიღებს.“*

რამდენად იქნება შესაძლებელი დაჩქარებული წესით დოკუმენტაციის გაცემა ან რა ვადებში მოხდება მისი გაცემა, საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გარკვეულ შემთხვევებში, მაგალითად, სასწრაფო სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში, ეს უდიდესი მნიშვნელობის, მეტიც, სასიცოცხლო მნიშვნელობის ტოლფასია, რადგან, როგორც ირკვევა, მიუსაფარ ბავშვებს ჯანდაცვისა და სოციალური მოსახურების სერვისებით სარგებლობა, საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის გარეშე, ვერ გაეწევათ. მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ ვადები კანონის მიხედვითაა გათვალისწინებული და საერთო წესები მოქმედებს, ეს საფასურსაც ეხება. ამ კატეგორიის ბავშვებისთვის მომსახურება უფასო იქნება, ხოლო მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, გადაუდებლად განსახორციელებელი პროგრამებისთვის საჭირო დოკუმენტაცია მაქსიმალურად სწრაფად გაიცემა.

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი **საშა გრაუმანი** მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ბავშვის ინტერესებს ემსახურება: *„აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ ქუჩაში მყოფი ბავშვები უკეთ იყვნენ დაცული და ხელი მიუწვდებოდეთ ძირითად სოციალურ მომსახურებებზე. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ბავშვების ქუჩაში გასვლის პრევენცია, დაცვის ძლიერი მექანიზმების შემუშავებით და ამ პროცესში სოციალური მუშაკების როლის გაძლიერებით. სოციალურ მუშაკებს მეტი უფლება უნდა ჰქონდეთ, მოახდინონ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დაცვა და, ოჯახური ძალადობის დროს, მოძალადე მშობლებისგან წამოყვანა“.* სოცმუშაკი **ნინო რეხვიაშვილი** ცვლილებას მნიშვნელოვან ნაბიჯად აფასებს და ამბობს, რომ ეს საშუალებას მისცემთ მარტივად მოუწესრიგონ ბავშვებს დოკუმენტაცია და დროულად ჩართონ როგორც საგანმანათლებლო პროცესში, ასევე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში.

იუნისეფი მზადაა, დახმარება გაუწიოს მთავრობას სოციალური სამსახურის სისტემის და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების შემდგომ გაძლიერებაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით. გაეროს ბავშვთა ფონდი მჭიდროდ თანამშრომლობს მთავრობასთან, ევროკავშირთან და პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან – „ვორლდ ვიჟენი“, „საქართველოს კარიტასი“ და „ბავშვი და გარემო“ – იმ სახელმწიფო მექანიზმის და მომსახურებების შესამუშავებლად, რომლებიც, ბავშვზე ზრუნვისა და სოციალური დაცვის უფრო ფართო სისტემების ფარგლებში, დაეხმარება ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს. აღნიშნული პარტნიორული ინიციატივის შედეგად, დაარსდა მომსახურებები და მექანიზმები, რომლებიც გამოავლენს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს, მათ დაუყოვნებლივ დახმარებას და დაცვას შესთავაზებს და იმუშავებს ამ ბავშვებთან, მათ ოჯახებთან იმ მიზნით, რომ საბოლოოდ მოხდეს მათი ინტეგრაცია არსებულ სოციალურ თუ ბავშვთა დაცვის მომსახურებებში (როგორიცაა მინდობით აღზრდა და მცირე საოჯახო ტიპის სახლი) ან ბიოლოგიურ ოჯახებში.

ცვლილებებს დადებითად აფასებენ არასამთავრობო სექტორში. უფლებადამცველები ფიქრობენ, რომ ხარვეზებზე საუბარი მხოლოდ კანონის იმპლემენტაციის შემდეგ გახდება შესაძლებელი. როგორ შესრულდება კანონის ახალი რეგულაციები და აღმოიფხვრება თუ არა პრობლემა, ამას ქუჩაში მოსიარულეს თვალიც იოლად შეამჩნევს, თუკი გზაჯვარედინებსა თუ შუქნიშნებზე, მეტროსა და საზოგადოების თავშეყრის ადგილებზე აღარ დავინახავთ მოწყალების მისაღებად ხელგამოწვდილ პატარებს.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

რომ არა ეს ერთი წელიწადი, დღეს სულ სხვა ადამიანი ვიქნებოდი

რუბრიკის სტუმარია გურამ ჯავახაძე, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის სტუდენტი

– გურამ, საუბარი მოსწავლეობის პერიოდით დავიწყოთ. რომელ სკოლაში სწავლობდი და რამდენად წარჩინებული მოსწავლე იყავი. რა ადგილი უჭირავს შენს ცხოვრებაში სკოლაში გატარებულ წლებს, განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– დავამთავრე თბილისის 165-ე საჯარო სკოლა. რაც თავი მახსოვს, სკოლაში ყოველთვის წარჩინებულ მოსწავლედ ვითვლებოდი. ბავშვობიდანვე პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი სწავლას და საერთოდ, ყველა საქმეს, რასაც ვაკეთებდი. ვფიქრობ, სწორედ პასუხისმგებლობის გრძნობა, უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის მიმართ, არის ის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც შესაძლებლობას გაძლევს მიაღწიო წარმატებას. პასუხისმგებლობა ნიშნავს თავდაუზოგავ შრომას, რომელსაც ყოველთვის მოაქვს შედეგი. ეს ბევრჯერ მაქვს საკუთარ თავზე გამოცდილი. სკოლაში გატარებულ წლებს, მართლაც რომ, დიდი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში, განსაკუთრებით ბოლო 3-4 წელიწადს, რადგან სწორედ ამ წლებმა იქონია უდიდესი ზეგავლენა ჩემი ცხოვრების შემდგომ ეტაპზე. ეს სწორედ ის წლები იყო, როდესაც გამიჩნდა ამბიცია დამესახა გეგმები, მემოქმედა და მიმეღწია სასურველი მიზნებისთვის. სწორედ ამ პერიოდში მივხვდი, რომ ყელაფერი ჩემ ხელთაა და ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. შანსი ყველას ეძლევა, მთავარია, მისი გამოყენება. მადლობელი ვარ სკოლის ყველა პედაგოგის, რომლებმაც ცოდნა მომცეს. გულწრფელად ვაფასებ მათ ღვაწლს. არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი ქართულის მასწავლებელი, ქალბატონი ირინა მჭედლიძე, რომლის გამორჩეულმა გაკვეთილებმა შემაყვარა არა მხოლოდ ლიტერატურა, არამედ მასწავლა მსჯელობა, ანალიტიკური აზროვნება და სხვადასხვა საკითხის სწორად შეფასება, რაც, რა თქმა უნდა, ჩემი შემდგომი დიდი წარმატებების საწინდარი გახდა. სკოლამ უდავოდ განსაზღვრა ჩემი პროფესიული მომავალი. მართალია, სამედიცინოზე ჩაბარება პირველი კლასიდან მქონდა გადაწყვეტილი (ჩემს ოჯახში, ტრადიციულად, ყოველთვის იყვნენ ექიმები), მაგრამ არა მგონია, სკოლაში მიღებული განათლებისა და ოჯახის ხელშეწყობის გარეშე ამ მიზნისთვის მიმეღწია.

– მე-12 კლასი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამთავრე. მოგვიყევი ამ გამოცდილების შესახებ. როგორია ამერიკული სკოლა, რით განსხვავდება ქართულისგან?

– ეს მართლაც გამორჩეული წელიწადი იყო ჩემს ცხოვრებაში. დარწმუნებული ვარ, ბევრი უფროსკლასელი ოცნებობს შტატებში სწავლაზე, უფრო ნაკლები იმსახურებს და, სამწუხაროდ, ალბათ, კიდევ უფრო ნაკლებს ეძლევა ამის შესაძლებლობა. თუმცა, მთავარია, რომ არსებობს ისეთი პროგრამა, როგორიცაა FLEX (Future Leaders Exchange), რომელიც სრულიად სამართლიანი და გამჭვირვალე კონკურსის პრინციპით არჩევს უფროსკლასელ მოსწავლეებს მთელი საქართველოს მასშტაბით და აძლევს მათ შესაძლებლობას, უფასოდ ისწავლონ აშშ-ში და იცხოვრონ მასპინძელ ოჯახებში ერთი წლის განმავლობაში. სწორედ ამ პროგრამით ვიმყოფებოდი ამერიკაში 2010-2011 წლებში, კერძოდ, ტეხასის შტატის პატარა ქალაქ იუვალდიში. ამ პროგრამაში მონაწილეობა, ზედიზედ, 3 წელიწადს ვცადე და მხოლოდ მე-3 ჯერზე გავიმარჯვე. ამით იმის თქმა მინდა, რომ არასდროს არ უნდა დანებდე, პირიქით, უფრო მეტი შემართებითა და ძალისხმევით უნდა შეეცადო და აუცილებლად მიაღწევ სასურველ მიზანს. იოლად არაფერი მოდის. მთავარია, არ გაჩერდე, საბოლოოდ ყველაფერი გამოვა. ეს უბრალოდ სიტყვები როდია.

ამერიკაში Uvalde High School-ში ვსწავლობდი. მინდა ვთქვა, რომ ამერიკული სკოლები საკმაოდ განსხვავდება ქართული სკოლებისგან. რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მაქვს ინფრასტრუქტურა და სკოლის შენობის იერსახე. სასიხარულოა, რომ უკანასკნელ წლებში, ამ მხრივ, საქართველოში, ვითარება გამოსწორდა. არც იმის თქმა მინდა, რომ ამერიკული სკოლა უკეთესია ან პირიქით. უბრალოდ, ამერიკულ სკოლაში მოსწავლეს მეტი შესაძლებლობა ეძლევა. უფროსკლასელთა სკოლა ამერიკელისთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩვენთვის. ყველა მოსწავლე და მასწავლებელი ამაყობს საკუთარი სკოლით. სკოლას აქვს საკუთარი „მასკოტი“, მაგალითად ჩემს სკოლას – „იუვალდის კოიოტები“. ყველა სკოლაშია დიდი ბიბლიოთეკა უამრავი წიგნით, ენციკლოპედიით, ჟურნალით, კომპიუტერებით. ხშირად შევდიოდი ხოლმე სკოლის ბიბლიოთეკაში და უამრავ საინტერესო წიგნსა თუ სტატიას ვკითხულობდი. ამერიკულ სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა, ასევე, სპორტს. მოსწავლეს სპორტის სახეობების ფართო არჩევანი ეძლევა. ყველა სკოლას ჰყავს საფეხბურთო გუნდი და ყოველთვის დიდი ზეიმია, როდესაც ორ სკოლას შორის იმართება თამაში. მოსწავლე თუ მასწავლებელი, ყველა სტადიონზეა. ყველა სკოლაშია, ასევე, უამრავი სხვადასხვა კლუბი, ბენდი და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ამერიკულ სკოლაში ვერ მოიწყენ.

ამერიკაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ვაკეთებდი პრეზენტაციებს და ვმართავდი საღამოებს საქართველოს შესახებ. სამწუხაროდ, ძალიან ცოტამ თუ იცის საქართველოს შესახებ. ვცდილობდი, მაქსიმალურად ინფორმაციული პრეზენტაციები მომემზადებინა და ამერიკელებისთვის საქართველო ყველა კუთხით გამეცნო; ეს FLEX პროგრამის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს. ჯამში, დაახლოებით, 40-მდე პრეზენტაცია გავმართე სკოლებში, კლუბებში, სხვადასხვა სოციალურ ცენტრში. აგრეთვე გამოვაქვეყნე სტატია სკოლის გაზეთში და ჩავწერე ინტერვიუ ადგილობრივ რადიოში. მოკლედ, მთელმა ქალაქმა გამიცნო. ქუჩაში ყველა მცნობდა. ამ ყველაფრისთვის მე-3 ადგილიც კი დავიკავე International Educational Week-კონკურსში, რისთვისაც საჩუქრად გადმომეცა iPod.

მინდა მოხალისეობის შესახებაც ვისაუბრო, რომელიც აშშ-ში ასე მიღებულია. დიდი თუ პატარა, შეძლებული თუ გაჭირვებული, ყველა მოხალისეობს. მოხალისეობა მათი ცხოვრების ჩვეული სტილია. პირადად მე, იქ გატარებული მთელი დროის განმავლობაში, მოხალისეობის 200-ზე მეტი საათი დამიგროვდა, რისთვისაც პრეზიდენტ ბარაკ ობამას სამადლობელო წერილი გადმომეცა, რომელიც დიდი სიამაყით მიკიდია ოთახში. ვმოხალისეობდი სასადილოებში, სკოლის ადმინისტრაციაში, ცხოველთა თავშესაფარში და უამრავ სხვა ადგილას. მოხალისეობისას ძალიან ბევრი ადამიანი გავიცანი და ძალიან კარგი დროც გავატარე. სწორედ ეს არის მოხალისეობაში ყველაზე „მაგარი“ – სხვას ეხმარები უანგაროდ, აკეთებ სასარგებლო საქმეს და, ამავდროულად, ხალისობ. მოხალისეობას ამერიკიდან დაბრუნების შემდგომაც აქტიურად ვაგრძელებ სხვა FLEX კურსდამთავრებულებთან ერთად. მიხარია, რომ მოხალისეობა ნელ-ნელა საქართველოშიც იკიდებს ფეხს. რაც შეეხება კითხვას, თუ რა მომწონს აშშ-ში ყველაზე მეტად, მარტივად გეტყვით – ის, რომ ყველაფერი დალაგებულია, წესი ყველასთვის ერთია და ყველა თავის საქმეს აკეთებს. ვფიქრობ, სწორედ ეს არის ამ ქვეყნის წარმატების გასაღები.

– სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, მედიცინის ფაკულტეტზე. მიამბე ამ პერიოდის შესახებ

– დიახ, აშშ-დან დაბრუნების შემდეგ, იმავე ზაფხულს, ჩავაბარე ერთიანი ეროვნული გამოცდები, რის საფუძველზეც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩავირიცხე მედიცინის ფაკულტეტზე. სამწუხაროდ, სახელმწიფო დაფინანსების მოპოვება ვერ მოვახერხე, ვინაიდან სწორედ 2011 წელს, ახალი ბრძანებით, ზოგიერთ მეტად პოპულარულ ფაკულტეტზე, მათ შორის სამედიცინოზეც, გაუქმდა ნაწილობრივი დაფინანსება, 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მოპოვება კი ვერ მოვახერხე. თუმცა, არც ესაა კატასტროფა. ამან კიდე უფრო მოტივირებული გამხადა, მეპოვა პირადი შემოსავლის წყარო, რაც გამომივიდა კიდეც. ასე რომ, პრობლემიდან გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება, მთავარია, იაქტიურო და ნებისმიერი პრობლემა დაძლევადია.

ამჟამად მე-5 კურსზე ვსწავლობ. რაც შეეხება უნივერსიტეტში გატარებულ წლებს, ორიგინალური ვერ ვიქნები და ბანალურად ვიტყვი, სტუდენტობა მართლაც რომ ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდია. სამედიცინოზე ჩაბარება ბავშვობიდანვე მქონდა გადაწყვეტილი და ეს სურვილი რეალობად ვაქციე. გულწრფელად თბილი გრძნობა მაკავშირებს ჩემს უნივერსიტეტთან. კმაყოფილი ვარ ჯგუფელებით, ლექტორებით, მეცადინეობებით. მიმაჩნია, რომ ჩემს უნივერსიტეტში საკმაოდ ხარისხიან განათლებას ვიღებ და რეალურად წინ მივიწევ კარიერულ გზაზე. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო თსსუ-ს თითოეულ ლექტორს და მთელ პერსონალს, რომელთა წყალობით ეს შესაძლებლობა მეძლევა. ზოგადად, სამედიცინოზე სწავლა რთულია, მით უმეტეს, თუ კარგად სწავლობ. სიმართლეა ის, რომ თავისუფალი დრო საკმაოდ ლიმიტირებული გაქვს და ხშირად გიწევს ღამის თენება საგამოცდო პერიოდში. თუმცა, სამედიცინოს სტუდენტიც ახერხებ გართობას. ამის გარეშე სტუდენტობა ხომ წარმოუდგენელია.

– სასწავლებლად კვლავ საზღვარგარეთ წახვედი. ამჟამად რა პროგრამით გაემგზავრე და რომელ უნივერსიტეტში აგრძელებ სწავლას?

– დიახ, ამჟამად ვიმყოფები საბერძნეთში, ქალაქ თესალონიკში, სადაც, ერთი სემესტრის განმავლობაში საბერძნეთის ყველაზე დიდ – თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტში ვისწავლი. აქ ევროკავშირის პროგრამის Erasmus Mundus MEDEA ფარგლებში ვიმყოფები. საკმაოდ პოპულარული გაცვლითი პროგრამაა მთელ მსოფლიოში, რომელიც სრულად ფინანსდება ევროკომისიის მიერ და საშუალებას აძლევს ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტს, გარკვეული დროის განმავლობაში, ისწავლოს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში და უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღოს. ამაყი ვარ, რომ წელს გამარჯვებულთა შორის მოვხვდი და Erasmus-ის დიდი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გავხდი.

– რა წესით გამოიყოფა სტიპენდიები და გრანტები უცხოელი სტუდენტებისთვის, რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები და ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებს თუ არა სტიპენდია სტუდენტის მოთხოვნებს?

– Erasmus-ში გამარჯვება საკმაოდ რთულია და დიდ ძალისხმევასა და მოტივირებულობას მოითხოვს. გარემო საკმაოდ კონკურენტულია, რადგან მსურველი ბევრია, ადგილების რაოდენობა კი შეზღუდული. ამ პროგრამის შესახებ რამდენიმე წელია შევიტყვე. ბევრი ჩემი მეგობარი წასულა ან ახლა იმყოფება ამავე პროგრამით ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. მონაწილეობის მისაღებად საჭიროა კარგი აკადემიური მოსწრება, მდიდარი რეზიუმე, სარეკომენდაციო წერილები პროფესორებისგან, სამოტივაციო წერილი და, ზოგჯერ, ინგლისურის საერთაშორისო სერტიფიკატიც. მოკლედ, აგზავნი აპლიკაციას და ევროპაში დამოუკიდებელი კომისია, მშობლიურ უნივერსიტეტთან ერთად, იღებს გადაწყვეტილებას გრანტის გამოყოფასთან დაკავშირებით. გრანტი სრულად ფარავს ყველა ხარჯს – კერძოდ მგზავრობას, სწავლას და ჯანმრთელობის დაზღვევას. სტუდენტი, ასევე ყოველთვიურად, იღებს სტიპენდიას, რაც სრულად აკმაყოფილებს მის ყველა მოთხოვნას. კონკრეტულად აქ, ჩემს უნივერსიტეტში, ვსარგებლობ ყველა იმ პრივილეგიით, რითაც ადგილობრივი სტუდენტი, მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტით განახევრებულ ფასად ვმგზავრობ, ნებისმიერ მუზეუმში სრულიად უფასოდ მაქვს შესვლის უფლება, უნივერსიტეტის სასადილო 3-ჯერად უფასო კვებას უზრუნველყოფს. ასე რომ, პირობები მართლაც ძალიან კარგია.

– მიამბე შენი სამუშაო გამოცდილების და მიღწევების შესახებ. სწავლის პარალელურად, ამჟამად რა საქმიანობას ეწევი?

– აშშ-დან დარუნების შემდეგ სურვილი მქონდა, გარკვეულწილად, დამოუკიდებელი ცხოვრების სტილი შემენარჩუნებინა და ჩემი პირადი შემოსავალი მქონოდა. გარდა ამისა, დაინტერესებული ვიყავი ახალი გამოცდილების მიღებით. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მეპოვა რაიმე საქმე, რისი კეთებაც მესიამოვნებოდა და, იმავდროულად, თავსებადი იქნებოდა სამედიცინოზე სწავლასთან. ასე რომ, უკვე 4 წელია, ინგლისური ენის კერძო რეპეტიტორად ვმუშაობ. ამ საქმის კეთება ძალიან მსიამოვნებს, თუმცა, ვფიქრობ, დროა ახალი გამოწვევებისთვის.

– რას მიიჩნევ ყველაზე დიდ წარმატებად, რაც აქამდე გქონია?

– დაუფიქრებლად შემიძლია ვთქვა, რომ ყველაზე დიდ წამატებად აშშ-ში გატარებულ პერიოდს მივიჩნევ. იმ ერთი მარტივი მიზეზით, რომ ამ ერთმა წელიწადმა რადიკალურად შეცვალა ჩემი ცხოვრების მიმართულება და მომცა უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც ასე გადამწყვეტია წარმატების მიღწევისათვის. რომ არა ეს ერთი წელიწადი, დღეს სულ სხვა ადამიანი ვიქნებოდი.

– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? მიამბე, როგორ ცხოვრობენ ბერძენი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული, როგორია ბერძნული სტუდენტური ცხოვრება?

– თავისუფალ დროს ბერძენ მეგობრებთან ან სხვა „ერასმუსელებთან“ ერთად ვატარებ. თესალონიკი საკმაოდ დიდი ქალაქია და აქ გართობის მრავალი საშუალებაა: კინო, კაფე-ბარები, ბოულინგი, მუზეუმები. გარდა ამისა, ხშირად ეწყობა ექსკურსიები საბერძნეთის სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად. შთამბეჭდავია საკუთარი თვალით იხილო ისეთი გასაოცარი ადგილები, როგორებიცაა მეტეორა და აკროპოლისი. ვერ ვიტყვი, რომ ბერძნული სტუდენტური ცხოვრება დიდად განსხვავდება ქართულისგან. ახალგაზრდების პრიორიტეტი აქ განათლება, გართობა და ყავის სმაა. ეს უკანასკნელი ხუმრობით, რა თქმა უნდა.

– როგორ გესახება მომავალი, სად აპირებ დამკვიდრებას? როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– ჯერჯერობით, არ მაქვს გადაწყვეტილი მომავალში სად და როგორ ვიქნები და კონკრეტულად რას გავაკეთებ. ამ ეტაპზე, რადიოლოგობა მაქვს გადაწყვეტილი, რისთვისაც ბაკალავრიატის დამთავრების შემდგომ კიდევ 3 წელიწადი უნდა ვისწავლო რეზიდენტურაში. არ გამოვრიცხავ კვლავ საზღვარგარეთ წასვლას, თუკი ამის შესაძლებლობა მომეცემა. არ ვფიქრობ, რომ საზღვარგარეთ მიღებული განათლება გადამწყვეტ როლს ითამაშებს საქართველოში დასაქმების კუთხით, რადგან საზღვარგარეთ მიღებული განათლება არანაირად არ ნიშნავს, გარანტირებულად, უმაღლესი ცოდნის დონეს. ყველაფერი კონკრეტულ ადამიანზეა დამოკიდებული და მის უნარზე გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები.

– დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი სხვანაირად აფასებ საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს, როგორებიც ვართ თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს? რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული, რაც აშშ-ში და ევროპაში გატარებულმა პერიოდმა მოგცა?

– ამის დიდი გამოცდილება მაქვს და გეთანხმებით, რომ საზღვარგარეთ ცხოვრებისას ბევ რამეს სრულიად სხვა კუთხით ხედავ და ბევრ ისეთ რამეს აფასებ, რაზედაც საქართველოში ყოფნისას არც კი ფიქრობ. საშუალება გეძლევა, შენში აღმოაჩინო ის ნამდვილი გრძნობა, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია. ვფიქრობ, ევროპის დიდ ოჯახში ჯერ კიდევ არყოფნის ერთადერი მიზეზი მხოლოდ პოლიტიკურია, თორემ სხვა კუთხით თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ევროპელები ვართ. დიდი მნიშვნელობა არ აქვს ჩვენს არაპუნქტუალობას, არც საბერძნეთში იწყება ყველაფერი თავის დროზე. მთავარია, ჩვენი და ევროპის ღირებულებები, რომლებიც ასე მსგავსია. ერთადერთი, ვისურვებდი, საქართველოში აზრის გამოხატვის თავისუფლება უფრო მეტად იყოს დაცული და თითოეულმა ადამიანმა ისწავლოს სხვისი, თუნდაც განსხვავებული აზრის პატივისცემა. სწორედ ესაა ის უნარი, რომელიც აშშ-ში და ევროპაში გატარებულმა პერიოდმა შემძინა.

ესაუბრა
მაკა ყიფშიანი

ინფორმაცია

ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი თბილისის სკოლებისთვის

ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის ფინანსური დახმარებით, თბილისის საჯარო სკოლების რეკონსტრუქცია-გამაგრება და ამ სეგმენტის ინფრასტრუქტურაში ენერგოეფექტურობის ზრდა იგეგმება. პროექტთან დაკავშირებული ფინანსური და ტექნიკური დეტალები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და ფინანსთა მინისტრის მოადგილემ დავით ლეჟავამ ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის მრჩეველებთან ერთად განიხილეს.

პროექტი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა, მიზნად ისახავს როგორც სასწავლო გარემოსა და სკოლის მოსწავლეთა უსაფრთხოების გაუმჯობესებას, ასევე, ხარჯების შემცირების მიზნით, ენერგოეფექტურობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

პროექტის ღირებულება, დაახლოებით, 22 მილიონ ევროს შეადგენს, საიდანაც: 14 მილიონ ევროს, შეღავათიანი სესხის სახით, ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი გამოყოფს; აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობის და გარემოსდაცვითი თანამშრომლობის ფონდიდან (E5P), გრანტის სახით, გამოიყო 6 მილიონი ევრო. პროექტით, ასევე, გათვალისწინებულია ქართული მხარის თანამონაწილეობა არაფულადი ფორმით (2 მილიონი ევრო). მალე საქართველოში ჩამოვა საერთაშორისო კომპანია, რომელიც საბოლოოდ შეაფასებს პროექტს, რის შემდეგაც სკოლების რეაბილიტაციის პროცესი დაიწყება.

თამარ სანიკიძე: *„სასკოლო ინფრასტრუქტურა და მისი გაუმჯობესება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით, ბოლო რამდენიმე წელიწადია, ინტენსიურად მიდის მუშაობა. რეგიონში ეს პრობლემები გადაჭრადია, იქ ფუნდამენტური სარეაბილიტაციო სამუშაოები, წლის ბოლომდე, ყველგან დასრულდება. დედაქალაქი ისევ გამოწვევად რჩება, რისთვისაც ფინანსთა სამინისტრომ გვიშუამდგომლა და, სესხი, რომელსაც თან მოსდევს გარკვეული ოდენობის გრანტი, მთლიანად დედაქალაქის სკოლების მშენებლობას მოხმარდება. მიმდინარეობს სესხის დამტკიცების პროცედურები, რომელიც, მგონია, რომ გაზაფხულზე დასრულდება. ზაფხულში ჩვენ შევძლებთ, რომ საპილოტე სკოლებში დავიწყოთ მუშაობა.“*

დავით ლეჟავა, ფინანსთა მინისტრის მოადგილე: *„ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი, საქართველოში სკოლების რეაბილიტაციისათვის, შეღავათიან კრედიტს გამოყოფს. ამ კრედიტთან ერთად, ე.წ. E5P, აღმოსავლეთ ევროპის გარემოსდაცვითი და ენერგოეფექტურობის პროგრამა, გამოყოფს 6 მილიონი ევროს ოდენობით გრანტს, რომელიც იმავე პროექტს მოხმარდება.“*

საქართველოს შემსწავლელი პოსტსადოქტორო პროგრამა ოქსფორდში

ლონდონში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორებთან გამართა შეხვედრა. შეხვედრის თემა იყო, ერთობლივი პროექტის ფარგლებში, თანამშრომლობის დეტალებისა და სამომავლო გეგმების განხილვა. საუბარია საქართველოს შემსწავლელ პოსტსადოქტორო პროგრამაზე, რომელიც საქართველოს კვლევების მიმართულებით მომუშავე ქართველ დოქტორანტებსა და ახალგაზრდა მეცნიერებს გაუმარტივებს კვლევით ვიზიტებს ოქსფორდის უნივერსიტეტში.

ზემოაღნიშნული პროექტი სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ხორციელდება. პროგრამა

უკვე გამოქვეყნებულია ოქსფორდის უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილებით, სამინისტრო ქართველოლოგიური მეცნიერებების ე.წ „Georgian Studies“ განვითარებას მხარს დაუჭერს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, რისთვისაც 2015 წელს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში შესაბამისი სპეციალური პროგრამა დამტკიცდა.

ოქსფორდში გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო, აგრეთვე, მომავალ თანამშრომლობას საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან, ქართული ხელნაწერების საარქივო ფონდების დიგიტალიზაციის პერსპექტივებს, ერთობლივი გამოფენებისა და კონფერენციების ორგანიზებას.

თამარ სანიკიძე: *„ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ 2015 წლის ბოლოს. წელს ოქსფორდის უნივერსიტეტში უკვე დაიწყება პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, ჩვენ მხარს დავუჭერთ ქართველოლოგიური კვლევისა და მეცნიერებების განვითარებას. ამისათვის შოთა რუსთაველის ფონდიდან გამოყოფილია დაფინანსება და ოქსფორდში უკვე ელოდებიან ახალგაზრდა მკვლევრებს, ვისთან ერთადაც დაიწყება პროგრამაზე მუშაობა, რომელიც გამოქვეყნებულია ოქსფორდის უნივერსიტეტის ვებგვერდზე.“*

ნილ მაკფეირლენი, ოქსფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი: *„მოხარულები ვართ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დელეგაციის ვიზიტით. ხანგრძლივი და ნაყოფიერი შეხვედრა გვქონდა. ეს არის საქართველოს შემსწავლელი პოსტსადოქტორო პროგრამის დასაწყისი აქ, ოქსფორდის უნივერსიტეტში. შეხვედრის ფარგლებში, განვიხილეთ მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობები, საქართველოს შემსწავლელი პროგრამის კუთხით. ძალიან მრავლისმომცველი საუბარი იყო. მიმოვიხილეთ თანამშრომლობის და კოორდინაციის შესაძლებლობა საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტთან და ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, ასევე, ერთობლივი გამოფენების, ხელნაწერების დიგიტალიზაციის პერსპექტივები, რაც შესაძლებელი გახდება ერთობლივი ძალისხმევით. განვიხილეთ დოქტორანტურის პროგრამების, გაერთიანებული კონფერენციების ორგანიზების შესაძლებლობები. ძალიან კმაყოფილი ვართ ამ შეხვედრით, რომელიც მნიშვნელოვან პერსპექტივას ქმნის როგორც ჩვენთვის, ოქსფორდში, ასევე საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისთვის.“*

შეხვედრა გურჯაანის სკოლების მასწავლებლებთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ლია გიგაური გურჯაანის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მასწავლებლებს შეხვდა. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ: საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტის წევრი ნუკრი ქანთარია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გიორგი მაჩაბელი.

შეხვედრაზე ლია გიგაურმა მოკლედ ისაუბრა განათლების სისტემაში არსებულ სიახლეებზე და ძირითადი დრო იმ თემებს დაუთმო, რასთან დაკავშირებითაც მასწავლებლებს შეკითხვები ჰქონდათ. ყველაზე მეტი შეკითხვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან დაკავშირებით დაისვა, რაზეც მინისტრის მოადგილემ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა ამომწურავი პასუხები გასცეს.

ლია გიგაური: *„მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემა დანერგვის აქტიურ ფაზაში შევიდა. მასწავლებლებს უკვე გარკვეულ აქტივობებში ჩართვა მოეთხოვებათ, ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონებში ჩასვლას, მასწავლებელთა კორპუსთან შეხვედრას და ამ აქტივობების დროს წარმოჩენილი სხვადასხვა კითხვებისა თუ რეკომენდაციების მოსმენას. შევეცადეთ, ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი გაგვეცა. მასწავლებლებს სრული ინფორმაცია აქვთ მომავალ აქტივობებთან დაკავშირებით. რაც მთავარია, შევთანხმდით თანამშრომლობის ფორმებზე, რომელიც სქემის სრულ დანერგვამდე გაგრძელდება.“*

ნუკრი ქანთარია, საქართველოს პარლამენტის წევრი: *„კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ თერთმეტამდე ცვლილებაა შეტანილი, ზოგიერთი არსობრივი ცვლილებაა. სწორედ ეს იყო საინტერესო – რამდენად მუშაობს ჩვენ მიერ მიღებული კანონი. განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად შევხვდით პედაგოგებს, სკოლის დირექტორებს. ჩემთვის საინტერესი იყო, ასევე, ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, რა მდგომარეობაა. მგონია, რომ საკმაოდ საინტერესო საუბარი შედგა. რა თქმა უნდა, მხოლოდ გურჯაანით არ შემოვიფარგლებით, შეხვედრებს მთელი საქართველოს მასშტაბით გავაგრძელებთ და ბოლოს სათანადო დასკვნებსაც გავაკეთებთ.“*

მაია ღლიღვაშვილი, კარდენახის საჯარო სკოლის დირექტორი: *„დღევანდელი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო აქ დამსწრე საზოგადოებისთვის, როგორც დირექტორებისთვის, ასევე პედაგოგებისთვის. ამომწურავი ინფორმაცია მივიღეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემასთან დაკავშირებით. ძალიან უშუალო და მეგობრული გარემო იყო, რისთვისაც დიდი მადლობა ჩვენს სტუმრებს.“*

მათემატიკის პედაგოგთა დასახმარებლად

პროპორციული სიდიდეები

თემა: პროპორციული სიდიდეები ნაწილობითი და პროცენტული გამოსახვის დროს.

მიზანი: შესწავლილი მასალის „პროპორციული სიდიდეების“ დაკავშირება ძველ საკითხთან – „რიცხვის ნაწილი და პროცენტი“ და გამოყენება ამოცანების ამოხსნაში ცოდნის განსამტკიცებლად.

თემის მოკლე მიმოხილვა: სიდიდე, რიცხობრივი მოცემულობის გარდა, შეიძლება წარმოდგენილი იყოს ნაწილობით ან პროცენტულად. ამ მხრივ საინტერესოა, როგორ გამოიყურება პროპორციული სიდიდეების თვისება მათი ნაწილობითი ან პროცენტული გამოსახვის დროს, როგორ იცვლება ერთი სიდიდე, როცა მეორე იცვლება ნაწილობით ან პროცენტით. პროპორციული სიდიდეები დანახულია უფრო მეტი თვალსაზრისით და გვეხმარება ფიზიკის, ქიმიის და მათემატიკის ამოცანების უკეთ გაგებაში.

I. პროპორციული სიდიდეების განხილვა, რიცხობრივი მოცემულობის დროს

ა) ორ – x და y სიდიდეს ჰქვია პროპორციული, თუ ერთი მათგანი მეორისგან მოიცემა მუდმივ k რიცხვზე გამრავლებით: $y = kx$

სხვანაირად,

ბ) ორ სიდიდეს ჰქვია პროპორციული, თუ მათი შეფარდება მუდმივი რიცხვია: $y/x = k = const.$

პროპორციული სიდიდეების მაგალითებია: s – მანძილი და t – დრო, m – მასა და V– მოცულობა, F – ძალა და a – აჩქარება, A – მუშაობა და t – დრო, მუდმივი კონცენტრაციის ორი ნივთიერების მასები და სხვ.

გ) პროპორციული სიდიდეების თვისება:

ერთი სიდიდის ორი მნიშვნელობის შეფარდება უდრის მეორე სიდიდის შესაბამისი ორი მნიშვნელობის შეფარდებას:

$x_2/x_1 = y_2/y_1$

სხვანაირად,

რამდენჯერაც იზრდება ან მცირდება ერთი სიდიდე, შესაბამისად იზრდება ან მცირდება მეორე სიდიდე.

დ) ტოლ ფარდობათა თვისება:

ვთქვათ x ცვლადის მნიშვნელობებია $x_1, x_2, \dots, x_n$, ხოლო $y_1, y_2, \dots, y_n$ – y ცვლადის მნიშვნელობები. პროპორციული სიდიდეების განმარტების თანახმად:

$$y_1/x_1 = y_2/x_2 = y_3/x_3 = \cdots = y_n/x_n = k$$

გამომდინარე აქედან, სამართლიანია ტოლობა:

$$(y_1 + y_2 + y_3 + \cdots + y_n) / (x_1 + x_2 + x_3 + \cdots + x_n) = k$$

ტოლობა ადვილად დამტკიცდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ $y_i = kx_i$. შევნიშნოთ, რომ ტოლობას აქვს შემდეგი ფიზიკური თუ ქიმიური ახსნა:

მაგალითი 1. თუ v მუდმივი სიჩქარით მოძრავმა სხეულმა $t_1, t_2 \dots t_n$ დროში გაიარა $s_1, s_2 \dots s_n$ მანძილები, მაშინ თითოეულ უბანზე სიჩქარე იქნება ერთნაირი

$$s_1/t_1 = s_2/t_2 = \cdots = s_n/t_n = v$$

იგივე იქნება სიჩქარე მთლიან გზაზეც:

$$(s_1 + s_2 + s_3 + \cdots + s_n) / (t_1 + t_2 + t_3 + \cdots + t_n) = v$$

მაგალითი 2. ვთქვათ, ერთგვაროვანი ნივთიერებების მასაა m, ხოლო მოცულობა – V. თუ მოცემულ სხეულს დავყოფთ $m_1, m_2 \dots m_n$ მასის ნაწილებად, რომელთა მოცულობებია $V_1, V_2 \dots V_n$, მაშინ თითოეული ნაწილის სიმკვრივე და მთლიანი სხეულის სიმკვრივე იქნება ერთნაირი, ანუ

$$m_1/V_1 = m_2/V_2 = \cdots = m_n/V_n =$$
$$= (m_1 + m_2 + \cdots + m_n) / (V_1 + V_2 + \cdots + V_n) = \rho$$

მაგალითი 3. თუ $t_1, t_2 \dots t_n$ სრულდება $A_1, A_2 \dots A_n$ სამუშაო, ისე რომ მუშაობის ტემპი არის ერთნაირი, მაშინ მთლიანი დროის განმავლობაში შესრულებული მუშაობის ტემპიც იგივე იქნება, ანუ

$$A_1/t_1 = A_2/t_2 = \cdots = A_n/t_n =$$
$$= (A_1 + A_2 + \cdots + A_n) / (t_1 + t_2 + \cdots + t_n) = N$$

სადაც N მუშაობის ტემპია, ანუ სიმძლავრე.

მაგალითი 4. თუ ერთნაირი კონცენტრაციის სხვადასხვა ზომის ხსნარებს შევურევთ ერთმანეთს, რომელშიც ერთნაირი ნივთიერებებია, მაშინ მიღებული ხსნარის კონცენტრაციაც იგივე იქნება, ანუ

$$m_1/M_1 = m_2/M_2 = \cdots = m_n/M_n =$$
$$= (m_1 + m_2 + \cdots + m_n) / (M_1 + M_2 + \cdots + M_n)$$

სადაც m_i ერთი ნივთიერების მასაა, ხოლო M_i – მეორე ნივთიერების მასა.

ამრიგად, მოყვანილი მაგალითები თვალსაჩინოს ხდის ტოლ ფარდობათა თვისებას.

ე) პროპორციული სიდიდეების ცვლილება.

ტოლ ფარდობათა თვისებიდან გამომდინარეობს პროპორციული სიდიდეების ცვლილების თვისება:

თუ x ცვლადის x_1 მნიშვნელობა გაიზრდება Δx-ით, მაშინ y ცვლადის შესაბამისი y_1 მნიშვნელობა გაიზრდება Δy-ით, სადაც $\Delta y = k\Delta x$. მართლაც

$$y_1/x_1 = \Delta y/\Delta x = k => (y_1 + \Delta y)/(x_1 + \Delta x) = k$$

იგივე სამართლიანია Δx-ით შემცირების დროსაც.

თუ $y_1/x_1 = (-\Delta y)/(-\Delta x) = k$, მაშინ $(y_1 - \Delta y)/(x_1 - \Delta x) = k$.

ამ თვისების ფიზიკური ახსნა მდგომარეობს შემდეგ მაგალითებში:

მაგალითი 1. თუ, v მუდმივი სიჩქარით მოძრავი სხეულის მოძრაობის დრო გაიზრდება Δt-თი, მაშინ მის მიერ განვლილი მანძილი გაიზრდება $\Delta S = v\Delta t$-თი.

მაგალითი 2. თუ ერთგვაროვანი ρ სიმკვრივის ნივთიერების მოცულობა გაიზრდება ΔV-თი, მაშინ მისი მასა გაიზრდება $\Delta m = \rho\Delta V$-თი.

მაგალითი 3. ერთნაირ ტემპში მუშაობისას დროის Δt ცვლილება იწვევს მუშაობის $\Delta A = N\Delta t$-თი ცვლილებას, სადაც N – მუშაობის სიმძლავრეა.

ამრიგად, ერთი სიდიდის ცვლილება წარმოდგენას გვიქმნის მეორე სიდიდის ცვლილებაზეც.

შევნიშნოთ, რომ მსგავსი კანონზომიერება უკუპროპორციულ სიდიდეებში დარღვეულია, ერთი სიდიდის ცვლილებით ვერ ვადგენთ მეორის ცვლილებას.

II. პროპორციული სიდიდეების ნაწილობითი და პროცენტული განხილვა.

ვთქვათ x_0 და y_0-ით, შესაბამისად, X და Y ცვლადის მნიშვნელობებია დაფიქსირებული – $y_0 = kx_0$, ხოლო x_1 და y_1 არის x და y ცვლადის ნებისმიერი მნიშვნელობები, მაშინ სამართლიანია ტოლობა: $x_1/x_0 = y_1/y_0$

შევნიშნოთ, რომ x_1/x_0 და y_1/y_0 შეფარდებები გვიჩვენებს x და y სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობების ნაწილობით გამოსახვას. თუ აღვნიშნავთ $\alpha = x_1/x_0$ და $\beta = y_1/y_0$, მაშინ $\alpha = \beta$.

თუ რიცხვითი მნიშვნელობების ნაწილობითი წარმოდგენები ტოლია, პროცენტული წარმოდგენებიც ტოლი იქნება.

ამრიგად, მივიღეთ შემდეგი შედეგი:

პროპორციული სიდიდეების ნაწილობითი ან პროცენტული წარმოდგენები ტოლია. ეს კი შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

1. მოცემული დროის α ნაწილში სხეული გაივლის შესაბამისი მანძილის α ნაწილს.

მოცემული დროის m%-ში სხეული გაივლის შესაბამისი მანძილის m%- ს.

2. მოცულობის α ნაწილში ჩავა მთლიანი მასის α ნაწილი.

მოცულობის m%-ში ჩავა მთლიანი მასის m%.

3. მოცემული დროის α ნაწილში შესრულდება მოცემული სამუშაოს α ნაწილი.

მოცემული დროის m%-ში შესრულდება მოცემული სამუშაოს m%.

პროპორციული სიდიდეების თვისება ნაწილობითი და პროცენტული გამოსახვის დროს

ვთქვათ, α_1 და α_2 x ცვლადის x_1 და x_2 რიცხვითი მნიშვნელობების ნაწილობითი წარმოდგენებია, x_0 რიცხვით მნიშვნელობებთან მიმართებაში. ე.ი. $\alpha_1 = x_1/x_0$, $\alpha_2 = x_2/x_0$

ხოლო, β_1 და β_2 y ცვლადის y_1 და y_2 რიცხვითი მნიშვნელობების ნაწილობითი წარმოდგენებია, y_0 რიცხვით მნიშვნელობასთან მიმართებაში. ე.ი. $\beta_1 = y_1/y_0$, $\beta_2 = y_2/y_0$

ადვილი დასანახია, რომ $\alpha_2/\alpha_1 = x_2/x_1$ და $\beta_2/\beta_1 = y_2/y_1$, ამასთან $\alpha_1 = \beta_1$ და $\alpha_2 = \beta_2$. რადგან $x_2/x_1 = y_2/y_1$, ამიტომ

$$\alpha_2/\alpha_1 = x_2/x_1 = y_2/y_1 = \beta_2/\beta_1.$$

ამრიგად, პროპორციული სიდიდეების თვისებამ მიიღო უფრო ზოგადი სახე:

ერთი სიდიდის ორი მნიშვნელობის შეფარდება, რიცხობრივად ან ნაწილობით მოცემული, უდრის მეორე სიდიდის ორი მნიშვნელობის შეფარდებას რიცხობრივად ან ნაწილობით მოცემულს.

ანუ რამდენჯერაც იზრდება ან მცირდება ერთი სიდიდე ნაწილობით მოცემული, იმდენჯერ იზრდება ან მცირდება მეორე სიდიდე რიცხობრივად მოცემული.

$$\alpha_2/\alpha_1 = y_2/y_1 \text{ ან } x_2/x_1 = \beta_2/\beta_1$$

მიღებული შედეგი სამართლიანია, როცა სიდიდეების მნიშვნელობები მოცემულია პროცენტულად:

რამდენჯერაც იზრდება ან მცირდება ერთი სიდიდე პროცენტულად მოცემული, იმდენჯერ იზრდება ან მცირდება მეორე სიდიდე რიცხობრივად მოცემული

$m_{2\%}/m_{1\%} = y_2/y_1$ ან $x_2/x_1 = n_{2\%}/n_{1\%}$

მიღებული შედეგი შეიძლება გავითვალისწინოთ ამოცანის ამოხსნისას, როცა ერთი სიდიდე მოცემულია ნაწილობით ან პროცენტულად, ხოლო მეორე რიცხობრივად.

მაგალითად:

1) t-დრო მოცემულია ნაწილობით ან პროცენტულად, ხოლო s-მანძილი – რიცხობრივად.

2) V-მოცულობა მოცემულია ნაწილობით ან პროცენტულად, ხოლო m-მასა – რიცხობრივად.

3) A- მუშაობა მოცემულია ნაწილობით ან პროცენტულად, ხოლო t-დრო – რიცხობრივად.

პროპორციული სიდიდეების ნაწილობითი ან პროცენტული ცვლილება

ვთქვათ x_1 და y_1 არის x და y ცვლადის რიცხობრივი მნიშვნელობები. საინტერესოა, რა მოსდის ერთ სიდიდეს, როცა მეორე იცვლება α ნაწილით.

დავუშვათ, x ცვლადის x_1 მნიშვნელობა გაიზარდა α ნაწილით, როგორ შეიცვლება ამ დროს y ცვლადის y_1 მნიშვნელობა?

α ნაწილით გაზრდა ნიშნავს: $x_2 = x_1 + \alpha x_1$.

y ცვლადის y_2 მნიშვნელობა გახდება

$$y_2 = kx_2 = k(x_1 + \alpha x_1) = kx_1 + k\alpha x_1.$$

y ცვლადის რიცხობრივი ცვლილება იქნება:

$$y_2 - y_1 = (kx_1 + k\alpha x_1) - kx_1 = \alpha kx_1.$$

თუ ამ ცვლილებას გამოვსახავთ ნაწილობით, გვექნება:

$$(y_2 - y_1)/y_1 = \alpha kx_1/(kx_1) = \alpha.$$

ე.ი. თუ x სიდიდე იზრდება α ნაწილით, y სიდიდეც გაიზრდება α ნაწილით. ცვლილების კანონზომიერება სამართლიანია α ნაწილით შემცირების დროსაც.

$x_2 = x_1 - \alpha x_1$; $y_2 = kx_2 = k(x_1 - \alpha x_1) = kx_1 - k\alpha x_1.$

y ცვლადის რიცხობრივი ცვლილება იქნება

$y_1 - y_2 = kx_1 - (kx_1 - k\alpha x_1) = k\alpha x_1.$

ხოლო ნაწილობითი ცვლილება:

$(y_1 - y_2)/y_1 = \alpha kx_1/kx_1 = \alpha.$

ამრიგად, მივიღეთ შემდეგი შედეგი:

პროპორციული სიდიდეების დროს, თუ ერთი სიდიდე იზრდება ან მცირდება ნაწილით, მეორე სიდიდეც იზრდება ან მცირდება α ნაწილით.

რადგან პროცენტი ნაწილის კერძო შემთხვევაა, შედეგი სამართლიანია პროცენტული ცვლილების დროსაც:

ერთი სიდიდის p%-ით ცვლილება იწვევს მეორე სიდიდის p%-ით ცვლილებას. მიღებული შედეგის ფიზიკური ახსნა მდგომარეობს შემდეგში:

მაგალითი 1. მოცულობის α ნაწილით (ან p%) ცვლილება იწვევს მასის α ნაწილით (ან p%) ცვლილებას.

მაგალით 2. დროის α ნაწილით (ან p%) ცვლილება იწვევს მანძილის α ნაწილით (ან p%) ცვლილებას.

იოსეგ ნონიკაშვილი

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი** საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისში“ მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს გაეცნო. კოლეჯში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, ინფრასტრუქტურის ადაპტირების პროცესი მიმდინარეობს, რაც არსებული ფიზიკური გარემოს ყველასათვის ხელმისაწვდომობის პრინციპით მოწყობას ითვალისწინებს. კერძოდ, იგეგმება შემდეგი კონკრეტული კომპონენტები: პანდუსი, ადაპტური სველი წერტილი, სენსორული ბილიკები, მოაჯირები, კიბეების და მოაჯირების მარკირება, ზონების კონტრასტული გამოყოფა, სახელურები, კარები და სხვ.

2013 წლიდან საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტში „ინკლუზიური განთლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლების და გადამზადების სისტემაში“, რომელიც ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ფინანსური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ინტეგრაცია/ადაპტაცია საზოგადოებაში, რაც მათი დასაქმების შესაძლებლობებს გაზრდის.

კოლეჯში შექმნილია ინკლუზიური პროფესიული განათლებისათვის ხელმისაწვდომი სასწავლო გარემო, რომელშიც ჩართულია ინკლუზიური განათლების ორი სპეციალისტი, ერთი სსსმ პირის ასისტენტი და სამი ჟესტური ენის თარჯიმანი. საჭიროების შემთხვევაში, პროცესში შესაძლებელია ასევე ჩაერთონ: სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტი, რომელიც უსინათლო სტუდენტისთვის გზის დასწავლასა და ქალაქში დამოუკიდებელი გადაადგილებისათვის მომზადებას უზრუნველყოფს; სპეციალური ასისტენტი – მძღოლი ეტლით მოსარგებლე სტუდენტისათვის. სტუდენტთათვის კეთილგანწყობილია სოციალური გარემო, ისინი უზრუნველყოფილი არიან მათთვის საჭირო სასწავლო რესურსებით. ამ ეტაპზე კი, მთელი შენობის უნივერსალური დიზაინით მოწყობა მიმდინარეობას.

2013 წლიდან ეტაპობრივად იზრდება საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისში“ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა რაოდენობა. 2015 წლის საშემოდგომო მიღებაზე „მერმისში“, 14 პროფესიულ პროგრამაზე, 33 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი ჩაირიცხა.

ინფორმაცია

მსოფლიო ფორუმზე პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე ისაუბრეს

ლონდონში გამართული განათლების მსოფლიო ფორუმის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, უცხოელ კოლეგებთან ერთად, ბრიტანეთის საბჭოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრას დაესწრო. შეხვედრის მთავარი თემა იყო ტექნიკური და პროფესიული განათლების კუთხით გამოცდილების გაზიარება და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა.

მინისტრებისა და ექსპერტების შეხვედრაზე ახალგაზრდების უმუშევრობა განხილული იყო, როგორც გლობალური პრობლემა, რომელიც პროფესიული უნარების განვითარებით, კვალიფიკაციის ამაღლებით, შრომის ბაზარზე ორიენტირებითა და დამსაქმებელთა უშუალო ჩართულობით უნდა გადაიჭრას. ამ უნარების განვითარებასა და საკუთარი თავის რეალიზებაში კი, ახალგაზრდებს სწორედ ხარისხიანი პროფესიული განათლება ეხმარება.

განხილული იქნა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება, მათ შორის საქართველოს მიერ პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები. საუბარი შეეხო, ასევე, ახალ პროფესიებსა და სტანდარტებს, რომელთა შემუშავებაშიც აუცილებელია დამსაქმებელთა უშუალო ჩართულობა.

თამარ სანიკიძე: *„ბრიტანეთის საბჭოს ორგანიზებით, ჩატარდა ძალიან საინტერესო შეხვედრა-ფორუმი, რომლის ფარგლებშიც, საშუალება მოგვეცა დაგვესვა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვები, რომლებზეც, რა თქმა უნდა, მივიღეთ არა მხოლოდ პასუხები, არამედ იმის მოლოდინი და შესაძლებლობაც გაჩნდა, რომ ჩავერთოთ, დამატებით, კიდევ სხვადასხვა პროგრამაში, რომლებსაც გვთავაზობენ იგივე ბრიტანეთის საბჭო და ჩვენი პარტნიორები სხვადასხვა ქვეყნებში. ეს ეხება პროფესიების დაუფლებას და შემდეგ უკვე დასაქმების მაჩვენებლების ზრდას. ბრიტანეთს ამის დიდი გამოცდილება აქვს. ბრიტანელი კოლეგები მზად არიან, გაეცნონ ჩვენს რეფორმას და მოგვცენ უფრო სპეციფიკური მითითებები, რაც გაზრდის დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესების შესაძლებლობებს.“*

ჰელენ სილვესტერი, ბრიტანეთის საბჭოს ევროპის განათლების დირექტორი: *„განხილული საკითხებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდების უმუშევრობა. უდავოა, რომ ახალგაზრდა თაობას სჭირდება იმ უნარებისა და გამოცდილების შეძენა, რასაც მათგან დამსაქმებელი ითხოვს. შესაბამისად, განვიხილეთ ახალი პროფესიები და სტანდარტები, რომლებიც დაეხმარება მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში. ასევე, უმნიშვნელოვანესია დამსაქმებლის ჩართვა პროფესიულ განათლებაში.*

უნარების, სტანდარტების დადგენის და პრიორიტეტული პროფესიების შერჩევის პროცესში, საჭიროა, სისტემურ დონეზე, დამსაქმებლის ჩართულობა. სწორედ დამსაქმებლის მოთხოვნები უნდა იყოს გათვალისწინებული ეროვნულ სასწავლო გეგმებზე მუშაობისას. ახალგაზრდებისთვის უმნიშვნელოვანესია პრაქტიკული გამოცდილება. მხოლოდ თეორიული ცოდნა საკმარისი არ არის, საჭიროა ისეთი ტექნიკური უნარები, როგორიცაა, მაგალითად, დროის სწორი მენეჯმენტი და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან მუშაობა. პროფესიული განათლება მათ სწორედ ამ უნარების განვითარებასა და საკუთარი თავის რეალიზებაში დაეხმარება.“

არსიმ ბაირამი, კოსოვოს განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრი: *„ტექნიკური და პროფესიული განათლების კუთხით გამოცდილების გაზიარება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს გლობალური საკითხია. უნდა შევქმნათ სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ახალგაზრდებისთვის და, იმავდროულად, ორიენტირებული იქნება შრომის ბაზარზე სწრაფად გასვლაზე. განსაკუთრებით ვართ ფოკუსირებული განათლების იმ მეთოდოლოგიასა და სწავლებებზე, რომლებიც უფრო მეტად იქნება ორიენტირებული პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებაზე.*

ძალიან საინტერესო იყო, გვენახა საქართველოს გამოცდილება პროფესიული განათლების მიმართულებით.“

ბლენდი კლოსი, ალბანეთის სოციალური უზრუნველყოფის და ახალგაზრდობის მინისტრი: *„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეხვედრის ფარგლებში გამოცდილებას ვუზიარებთ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით ჩვენს კოლეგებს საქართველოდან. განვიხილეთ მრავალი საერთო საკითხი პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით. ყურადღება გავამახვილეთ ახალგაზრდების უმუშევრობის პრობლემებზე. ასევე, ვეცადეთ, გვეპოვა გზები და მექანიზმები, თუ როგორ უნდა დაეხმაროს პროფესიული განათლება ახალგაზრდებში უმუშევრობის შემცირებას. ჩვენთვის ნათელია თქვენი გამოცდილება და ის მექანიზმები, რომლის საშუალებითაც ავითარებთ პროფესიული განათლების სექტორს. ეს გზები ჩვენთვისაც ძალიან სასარგებლოა. იმ მოდელზეც ვისაუბრეთ, რომელიც საერთოა ევროპული ქვეყნებისთვის, თუმცა საჭიროა გვქონდეს ჩვენი მენტალობა, ჩვენი სტატისტიკა, რიცხვები და მონაცემები, ეკონომიკური განვითარების მიზნით.“*

უკანასკნელი ფოთოლი

ილიაუნის თეატრში ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლაში ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეებსა და ქალაქ სენაკის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, გაიმართა ო'ჰენრის მოთხრობის „უკანასკნელი ფოთოლი“ მიხედვით შექმნილი სპექტაკლის ჩვენება (დამდგმელი რეჟისორი – **თორნიკე მარჯანიშვილი**).

სამტრედიის №15 საჯარო სკოლის მიზანია თითოეულ მოსწავლეს მისცეს აკადემიური უნარების განვითარების, მათი პიროვნების სოციალურ-კულტურული ჩამოყალიბებისა და სკოლაში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების საფუძველზე სწავლის გაგრძელების, შრომით საქმიანობაში ჩაბმის, საზოგადოებასთან ადაპტაციისა და მის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

სკოლასთან არსებული თეატრისა და კითხვის კლუბში მომზადებული სპექტაკლი მიზნად ისახავდა სკოლის აღსაზრდელების თანატოლებთან ინტეგრაციას და სოციალიზაციას, ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოზარდებში კითხვის მოტივაციის გაზრდას, მათი შესაძლებლობების წარმოჩენას და საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების რღვევას.

მოჭიდავეთა გამარჯვება

თავისუფალ სტილში მოჭიდავე ქართველმა ჭაბუკებმა, 23-24 იანვარს, დიდი წარმატებით იჭიდავეს ხარკოვში ჩატარებულ უკრაინის დამსახურებული მწვრთნელის – ლეონიდ დუნაის ხსოვნის ტურნირში. ეს იყო პირადგუნდური შეჯიბრება, რომელშიც უკრაინის რეგიონების გარდა, უცხოელებმაც იჭიდავეს – გერმანიის, სომხეთის, მოლდოვასა და საქართველოს გუნდებმა.

ჩვენი ნაკრების მწვრთნელებმა – **გიორგი იანტბელიძემ**, **კახა დობორჯგინიძემ** და **ლაშა ქეთიშვილმა** ხარკოვში გაფართოებული შემადგენლობა წაიყვანეს, რადგან წლეულს მნიშვნელოვნად მოუწიათ გუნდის გადახალისება. მით უფრო, აქამდე გამართულ საშინაო თუ საგარეო შეჯიბრებებში, რამდენიმე წონაში, მძაფრი კონკურენცია გამოიკვეთა. საბედნიეროდ, ტურნირმა მათი მოლოდინი გაამართლა.

ხარკოვში პირადი პირველობა 23 იანვარს ჩატარდა და ჩვენებმა დიდი წარმატებით იჭიდავეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ 10-დან 8 წონის ფინალში გვყავდა მონაწილე, ორში კი (50 და 69 კილოგრამებში), სულაც ქართული ფინალი გაიმართა. პირველ მათგანში **ნიკა კვინიკაძემ თორნიკე ქათამაძე** დაამარცხა, მეორეში კი **დანიელ მარქარაშვილმა რომან აფციაურს** მოუგო. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ფინალური პაექრობების უმეტესობა, სადაც მხოლოდ თითო ფალავანი გვყავდა, ჩვენებმა მოიგეს – 6-დან 4. საერთო ჯამში, ქართველთა ხარკოვული მონაგარი 6 ოქრო და 4 ვერცხლია, რასაც 2 ბრინჯაოც დაუმატეს. კვინიკაძის და მარქარაშვილის გარდა, ტურნირის ჩემპიონები **ამირან ვახტანგიშვილი** (54), **გიორგი ელბაქიძე** (58), **მირიან მაისურაძე** (76) და **სიმონ ოსკანიანი** (85) გახდნენ. ვერცხლის მედლებს ქათამაძისა და აფციაურის გარდა, **გოგა მამიაური** (69) და **ჭაბუკი გამყრელიძეც** (100) დაეუფლნენ. მესამე პრიზიორები **გოდერძი ძებისაშვილი** (54) და **ცოტნე აბალაკი** (58) გახდნენ.

საქართველოს ნაკრები გუნდურ შეჯიბრებაშიც წარმატებით, უდანაკარგოდ გამოვიდა. ამ ტურნირში, დამოუკიდებელ გუნდად, აჭარის ნაკრებიც ჩაება. ტურნირი ჩატარდა პრინციპით „კედელი-კედელზე“. ჩვენმა მთავარმა გუნდმა კი პირველ შეხვედრაში სწორედ თანამემამულეები დაამარცხა – 8:2, მერე დონეცკელებს აჯობა – 9:1, ნახევარფინალში ოდესის გუნდს 7:3 მოუგო, ფინალში კი ხარკოველებს 6:4 აჯობა.

აღსანიშნავია, რომ ხარკოვში წასვლამდე ჩვენებმა ბაქოშიც წარმატებით იჭიდავეს მუშვიგ ისაევის მემორიალში, სადაც მამიაური ჩემპიონი გახდა. საინტერესოა, იქაც ქართული ფინალი გაიმართა – მან **აგილ მამაგულიევს** მოუგო, მესამეზე კი **გიორგი ბრეგვაძე** (76) გავიდა.

ინვენტარი გარდაბნის სკოლას

ამ დღეებში გარდაბნის პირველ საჯარო სკოლას საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **რევაზ ჯაველიძე** ესტუმრა და სკოლა სპორტული ინვენტარით დაასაჩუქრა. თან შეხვდა კარატესა და კალათბურთის ადგილობრივი კლუბების ახალგაზრდებს.

სამინისტრო ანალოგიურ ღონისძიებებს სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში ახორციელებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ქვემო ქართლიც და გარდაბანიც ამ პროექტში მოხვდა. ამით ცდილობენ, დაინტერესონ და ხელი შეუწყონ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს სპორტში ჩაბმაში. ამ მიზნით, პერიოდულად, სხვადასხვა ტურნირებსაც ატარებენ რაიონებში. სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო 3 წელიწადში, ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებს 20 ათასი ლარის ინვენტარი გადაეცათ. ამასთან, ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების დასამონტაჟებლად, დამატებით, 27 ათასი ლარი გამოიყო. ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის დეპარტამენტმა 20-ზე მეტი პროექტი განახორციელა. მათ შორის – „სკაუტური ბანაკები“ და ახალგაზრდული ლაშქრობები, რომლებშიც გარდაბნელი ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ, ხოლო რაიონის სხვადასხვა სკოლის 90 მოსწავლე ისვენებდა ანაკლიაში, ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის მიერ მოწყობილ „მომავლის ბანაკში“.

უახლოეს წლებში სამინისტრო გეგმავს რუსთავში ორდარბაზიანი მულტიფუნქციური სპორტის სასახლის მშენებლობას.

მეშვიდე ადგილზე მინსკში

ახალი სეზონისთვის ემზადებიან ჩვენი ასაკობრივი საფეხბურთო ნაკრებებიც – ზოგი შინ, ზოგიც – უცხოეთში.

წლის პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართეს ჩვენმა 19-წლამდელებმა, რომლებმაც საერთაშორისო ეგიდით პირველად ითამაშეს ახალი მთავარი მწვრთნელის – **გიორგი ყიფიანის** ხელმძღვანელობით: 24 იანვარს თბილისში ბულგარელ თანატოლებს უმასპინძლეს და უგოლო ფრეს დასჯერდნენ, 0:0.

თბილისურმა სუსხმა და მკაცრმა ზამთარმა თამაშის განრიგიც არია და შეხვედრა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონიდან „დინამო თბილისის“ საფეხბურთო აკადემიაში გადაამისამართა და თან – სამი საათის დაგვიანებით. თუმცა ჩვენებს ამით დიდი ხეირი არ მიუღიათ, გოლი მაინც ვერ გაიტანეს, ოღონდ ეგ კია – არც თავად გაუშვიათ. ახლა დაველოდოთ განმეორებით შეხვედრას, იქნებ იქ მაინც მიაღწიონ წარმატებას.

ვასილ მაისურაძის გაწვრთნილი 17-წლამდელები მინსკში გამოდიოდნენ საერთაშორისო ტურნირში „ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციის განვითარების თასზე“, სადაც არცთუ წარმატებით იასპარეზეს და მეშვიდე ადგილზე გავიდნენ.

ჩვენებმა ტურნირი გამარჯვებით დაიწყეს – მოლდოვას 5:4 მოუგეს, თუმცა შემდეგ ორი შეხვედრა დათმეს: ფინეთთან 0:1 წააგეს, უკრაინასთან – 1:3. ამის შემდეგ მათ ჯერ „ირტანს“ მოუგეს – 1:0, მეშვიდე ადგილისთვის პაექრობაში კი ლიტვა 2:1 დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ ჩვენები ამ შეხვედრაშიც აგებდნენ – 36-ე წუთზე **ვიტკუსმა ლუკა გუგეშაშვილს** გაუტანა. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე **ლუკა სილაგაძემ** ანგარიში გაათანაბრა, ათიოდ წუთში კი **ჯაბა კასრელიშვილმა** ლიტველთა კარში გამარჯვების გოლი გაიტანა.

ქალებმა კალათბურთიც გაიხსენეს



წლეულს მნიშვნელოვანი სეზონი ელოდება საქართველოს ქალთა კალათბურთს – ასაკობრივი ნაკრებები ევროპის ჩემპიონატის C ჯგუფში ითამაშებენ. 16-წლამდელები ამ საპასუხისმგებლო ტურნირში ანდორაში იასპარეზებენ, 18-წლამდელები კი თბილისში მიიღებენ მეტოქეებს. ჩვენებისთვის ეს ისტორიული ტურნირი იქნება, რადგან საქართველო პირველად უმასპინძლებს ასეთი დონის საკალათბურთო შეჯიბრებას.

თბილისური ტურნირი სპორტის ახალ სასახლეში, 8-13 ივლისს, გაიმართება. ჩვენები B ჯგუფში მოხვდნენ, როგორც – მალტა, გიბრალტარი და კოსოვო, A-ში კი სომხეთი, ანდორა და უელსი ითამაშებენ.

ანდორაში, 18-23 ივლისს, 16-წლამდელების მეტოქეები, ასევე B ჯგუფში, ანდორა და გიბრალტარი იქნებიან, A-ში კი უელსი, კოსოვო და მალტა ითამაშებენ.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ქალთა კალათბურთის განყოფილებამ უკვე დაიწყო ამ ასაკობრივი გუნდებისთვის კანდიდატთა შერჩევა და, ამ მიზნით, უკვე ჩაატარა ორი შესარჩევი კემპი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებისთვის. კემპს ქალთა კალათბურთის ხელმძღვანელი, ცნობილი ვეტერანი კალათბურთელი **მედეა მხეიძე** უძღვებოდა, მონაწილეობდა 120-მდე გოგონა. უახლოეს პერიოდში, 5-7 თებერვალს, განზრახულია მესამე კემპის ჩატარება, რის შემდეგაც 20-20 გოგო აირჩევა ორივე ნაკრებისთვის. ამის შემდეგ შერჩეული კანდიდატები მზადების ეტაპზე გადავლენ.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

მიმდინარეობს ხელმოწერა

მასწავლებლის ბიბლიოთეკა



კუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.



წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

თითოეულის ფასი – 7,30 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი

ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკო მურღულია
ისტორია
ტესტები ეროვნული გამოცდისთვის
~~9~~ ლარი 8 ლარი

ისტორია
თეორიული საკითხები და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის
~~6~~ ლარი 5 ლარი



ქეთევან ტატიშვილი, ზურაბ ბერაია
ფიზიკა
თეორიული საკითხები და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის
~~8~~ ლარი 7 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი
ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია
სერიიდან ინტელექტი სკოლას

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი



რა არის რა

აქცია

მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად. პირველი 10 სელმოწერი თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 7 ლარად მიიღებს.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

თემატური პლაკატები

დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. ბოსტნეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ძალაძუნი
24. სოფელში
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საძართველო
28. ძართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

2.90 ლარი

მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძართველოში
3. გარეული ცხოველები საძართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საძართველოში
6. საძართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინოები
11. ძიმური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
7. უკლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

ეთმობა ერთი ცალი ფასი

2015–2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სტუდენტთა მობილობის პროცესი დაიწყო

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს წელიწადში ორჯერ ეძლევათ შესაძლებლობა, ისარგებლონ მობილობით და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადავიდნენ. ამისთვის სტუდენტი ონლაინ რეჟიმში უნდა დარეგისტრირდეს ელექტრონულ პორტალზე – https://students.eqe.ge/

2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობა დაიწყო 22 იანვრის 12:00 საათიდან და 4 თებერვლის 18:00 საათამდე გაგრძელდება.

ამ ვადის განმავლობაში სტუდენტს შეუძლია პრიორიტეტების მიხედვით ხუთი საგანმანათლებლო პროგრამა აირჩიოს. ელექტრონულ პორტალზე დადებითი შედეგი დამოკიდებულია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დაგროვებულ საკონკურსო ქულაზე.

დეტალური ინფორმაციისათვის გადადით ბმულზე – http://eqe.ge/geo/news/show/53/860

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო



კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.**

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტატელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >